პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. ბ. ცენტ. და ტფ. კომ. ტეტები და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
შაბათი
24
ნოემბერი
1934 წ.
№ 271 (4127)

სასოფლო საბჭოებმა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში თავისი მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ კოლმეურნე, მისთვის დახმარების გაწევა, ჩააბან ერთპიროვნული მეურნეები საკოლმეურნეო მოძრაობაში და პრაქტიკულად დაანახვონ მათ საკოლმეურნეო ცხოვრების უპირატესობანი.

(საქ. ცაკის მიმართვიდან)

მტკიცე საწარმოო გეგმა თვითეულ კოლმეურნეობას

„კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა — ამბობდა ამხ. სტალინი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. იანვრის პლენუმზე—მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ შეუძლებელია. მსხვილი მეურნეობა მიწადმოქმედებაში, რომელიც შეიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლებს შეიძლება გაუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით. უამისოდ იგი უნდა დაიღუპოს და დაიშალოს".

აქედან გამომდინარეობს სრულიად გარკვეული და ნათელი ამოცანა — უზრუნველყოფილ იქნას თითეული კოლმეურნეობა ღრმად მოფიქრებული, მასობრივად დამუშავებული და ზუსტად შედგენილი რეალური გეგმებით.

როგორია სინამდვილე? უნდა ითქვას, რომ მაინც და მაინც არც ისე სახარბიელო. კოლმეურნეობებში წლიური გეგმების დამუშავება-შედგენას და თითეული საკოლმეურნეო ბრიგადისათვის წლიური საწარმოო დავალების სწორად განსაზღვრას დღემდე კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ივიწყებენ, რომ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა არის ის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საკოლმეურნეო წარმოების მეტი ეფექტიანობა, ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემატიური გაუმჯობესება, მოსავლიანობის აწევა და ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად გადაქცევა.

კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისადმი უყურადღებობას ჩვენ ვხვდებით ბევრგან, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით განირჩევა აფხაზეთი. იქ საწარმოო გეგმების შედგენა - გატარებას, როგორც წესი, სოფლის პარტიული ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ, გეგმები დგება ფორმალურად და ბევრ შემთხვევაში მუშაობა ცალკე კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში მიმდინარეობს ყოველგვარი გეგმის გარეშე. მაგ. გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირებისათვის შედგენილი საწარმოო დავალება მთელი წლის განმავლობაში კოლმეურნეობის კანცელარიაში ეყარა, იგი არც ბრიგადებს მოუკითხავთ და არც კოლმეურნეობას გადაუგზავნია დანიშნულებისამებრ.

ასეთი ფაქტები სხვა ოლქებსა და რაიონებშიაც ბევრია. იგი მოწმობს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებების და მიწგანების უსულგულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შედგენისადმი. დროა ამ სამარცხვინო მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

მთავარი და ძირითადია საწარმოო დავალებების სწორად დაყვანა ცალკე კოლმეურნეობებამდე. ჩვენ ასე თუ ისე სწორად დაგვყავს წლიური საწარმოო დავალება რაიონებამდე, მაგრამ საწ. დავალებათა კოლმეურნეობებამდე და ბრიგადებამდე დაყვანას ვერ ვართმევთ თავს რიგიანად. ეს ხდება იმიტომ, რომ ბევრგან ამ საქმეს ანდობენ მხოლოდ რაიმიწგანის, ან მ. ტ. ს.-ს აგრონომებს და პარტიული ორგანიზაციები კი შორიდან მაყურებლის როლში გამოდიან.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ამტკიცებს ბიუროკრატიულ - კანცელარიულ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმისადმი — ესაა გეგმების შედგენა კანცელარიებში, კოლმეურნეთა მასების მონაწილეობის გარეშე.

ამ უმსგავსობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექნეს გასაქანი. საჭიროა მ. ტ. ს. პოლიტგანყოფილებები და სოფლის პარტიულ ორგანიზაციები ზედმიწევნით ზუსტად იცნობდნენ თითეული კოლმეურნეობის მდგომარეობას, საწარმოო საშუალებებს, მუშა ხელის რაოდენობას, მეურნეობის მიმართულებას ცალკე უბნებში და ამის გათვალისწინებით აძლევდნენ საწარმოო დავალებებს ცალკე კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს.

მაშინ არის საწარმოო გეგმა სწორად და ჭკვიანად შედგენილი, როდესაც კოლმეურნეობამ მთლიანად და თითეულმა კოლმეურნემ ცალკე იცის სად, რომელ ნაკვეთზე რა, რამდენი და როდის დასთესოს,—რა პრაქტიკული ღონისძიებები გაატაროს ნათესების მოსავლელად, მოსავლიანობის გასადიდებლად, რამდენი მოსავალი მიიღოს ცალკე ბრიგადების თითეული ჰექტარიდან, როგორ ნაწილდება ძალები და საშუალებანი საწარმოო დავალებათა შესასრულებლად და ვინაა კონკრეტული პასუხისმგებელი მოცემული გეგმების ვადაზე შესრულებისათვის.

უნდა მივიღოთ ყველა ზომა კოლმეურნეობათა მომავალი წლის საწარმოო გეგმების დროულად შედგენის, დამუშავებისა და დაზუსტებისათვის.

* * *

უდიდესი საქმე, რომელიც საერთო ძალით უნდა გაკეთდეს

გაზეთების რედაქციებს ყოველდღე მოსდით უამრავი წერილები. ამ წერილებში მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მოწაფეები ეხებიან ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. მრავალი ათასი თვალი სწვდება ამ ცხოვრების დეტალებში. წერილების თემა მრავალფეროვანია. თვითეული შენიშვნა ძვირფასი და მნიშვნელოვანია და მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია.

ყველა წერილის გაზეთში მოთავსება არ შეიძლება. ერთის მხრივ, გაზეთს არა აქვს ამისი საშუალება; მეორეს მხრივ, არის ისეთი შენიშვნები, რომლებსაც წინასწარი შემოწმება სჭირდება. ორივე შემთხვევაში გაზეთი პასუხისმგებელია მიღებული წერილების ბედისათვის, მაგრამ ხშირად **მარტო გაზეთის რედაქციები ვერაფერს გახდებიან, თუ მათ გვერდში არ ამოუდგნენ პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობა, პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.**

სამწუხაროდ, ხშირად ძალიან უსულგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან რედაქციის მიერ შესამოწმებლად გაგზავნილ მასალებს ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

უკანასკნელი 3—4 თვის განმავლობაში „კომუნისტის" რედაქციამ რამდენიმე ასეული წერილი გადაუგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციას გამოსარკვევად და ზომების მისაღებად. ბევრ ამ ორგანიზაციისაგან ჯერაც არ მოსულა რედაქციაში პასუხი, ხოლო ზოგიერთი მიღებული პასუხი სრულიად არადამაკმაყოფილებელია და გამოგზავნილია მხოლოდ იმიტომ, რომ მოვალეობა მოეხადათ.

დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ჯერ კიდევ აგვისტოში გაეგზავნა 3 წერილი. მას შემდეგ 3 თვე გავიდა, მაგრამ რედაქციას არც ერთი ამ წერილის პასუხი არ მიუღია. ასე მოიქცნენ **ყაზბეგისა** და **ენუქიძის** რაიაღმასკომების თავმჯდომარეებიც.

აღმაშფოთებელია, როდესაც ზოგიერთი რაიონული გაზეთიც აბუჩად იგდებს მისთვის გამოსაკვლევად გაგზავნილ წერილს. ასე, მაგალითად, **„ფოთის მუშას"** (ფოთი), **„ჭიათურის მაღაროელის"** (ჭიათურა) და **„დამკვრელი კოლმეურნის"** (თელავი) რედაქციებს არ გამოუგზავნიათ ცნობები მათთვის ივლისსა და აგვისტოში გაგზავნილი მამხილებელი წერილების შედეგების შესახებ.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. მუშათა და კოლმეურნეთა შენიშვნების ეფექტიანობისათვის ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ რედაქციების საქმე როდია, მათ დახმარება უნდა გაუწიოს ყველამ, ვისაც ამათუიმ წერილთან რაიმე საერთო აქვს. **მამხილებელი მასალების სასწრაფოდ გამორკვევა და დამნაშავის დასჯა** —აი რა არის საჭირო ეს არის უდიდესი საქმე, რომელიც საერთო ძალით უნდა კეთდებოდეს.

ამხ. ფ. მახარაძე აფხაზეთში

სოხუმი, 23 ნოემბერი. აფხაზეთში ჩამოვიდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცაკ-ის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე.

სოხუმისაკენ მიმავალი ამხ. მახარაძე შეჩერდა ოჩამჩირეში, სადაც გაეცნო საბჭოების გადარჩევის მიმდინარეობას. ოჩამჩირეში ამხ. მახარაძემ აღნიშნა როგორც დაუშვებელი ფაქტი ის გარემოება, რომ საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის პერიოდში რაიაღმასკომის თავმჯდომარე იმყოფებოდა შვებულებაში.

სოხუმში შესდგა აფხაზეთის ცაკ-თან არსებულ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც ამხ. მახარაძე გამოვიდა საინფორმაციო მოხსენებით საქალაქო საბჭოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის დარგში მორიგი ღონისძიებების შესახებ.

სასოფლო საბჭოების გადარჩევები აფხაზეთში უკვე დამთავრდა. ამჟამად ცენტრალური საარჩევნო კომისია აჯამებს სასოფლო საბჭოების გადარჩევების ჩატარების შედეგებს მთელ აფხაზეთში (ადს).

მივცეთ საბჭოებს კონკრეტული და რეალური განაწესები

ელექტრო-შუქი მალე გაანათებს სოფელს

კინჩხის სასოფლო საბჭო (ხონის რაიონი) სერიოზული წარმატებებით წარსდგა ამომრჩევლების წინაშე. უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში სასოფლო საბჭომ, რაიონული კომიტეტის ყოველდღიური და ოპერატიული ხელმძღვანელობით, შესძლო გაეკეთებია იმდენი, რაც მთელი ათეული წლის განმავლობაში არ გაკეთებულა.

სოფ. კინჩხა გაშენებულია ძნელად მისავალ მთის კალთებზე. წინათ სარაიონო ცენტრიდან მიმოსვლა ძნელი იყო უგზოობის გამო. მთის ბილიკებზე ხევებისა და ცხენისწყლის ნაპირებზე საშიში იყო ცხენით მგზავრობაც კი. უგზო სოფელი კულტურულადაც ჩამორჩენილია. ასე იყო სოფ. კინჩხაც.

რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებით და მშრომელი მოსახლეობის ერთსულოვანი დარაზმულობით — გასულ წელს დაიწყო საავტომობილო გზის მშენებლობა. დაკვრითი წესით მუშაობის შედეგად გზა გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავისათვის.

— ჩვენ არ გვქონდა გზა: ჩვენებურ გლეხს ზურგით უხდებოდა ლობიოს, ხორბლის, ნიგვზის გატანა ხონის ბაზარზე; ახლა ჩვენ გვაქვს კარგი გზა. ავტო ერთ საათში მიგვიყვანს ქალაქში. გზად არ დავკარგავთ ორ-სამ დღეს,—ამაყად აბარებდა ანგარიშს ამომრჩევლებს საბჭოს თავმჯდომარე, დაუშრეტელი ენერგიის სავსე, დაუზარებელი მუშაკი ამხ. გრ. ხურცილავა.

— ჩვენ არ გვქონდა კლუბი, — ახლა ის გვაქვს. კლუბი იტევს 300 კაცს. გვაქვს საკუთარი კინო-აპარატი.

— ჩვენ გვქონდა ორი სასწავლებელი. ახლა კი ხელისუფლების მზრუნველობით სოფლის ყველა კუთხეში — **ზედაკინჩხაში, ქვედა-კინჩხაში, რონდიში** და სოფლის ცენტრში გვაქვს სასწავლებლები. სკოლების უბნებში გახსნამ გაუადვილა ღარიბ მოსახლეობას მიეცათ ბავშვები სასწავლებლებში.

— მოეწყო სამედიცინო პუნქტი, აფთიაქი, აშენდა ახალი შენობები: საბჭოსათვის, ფოსტისათვის, სასტუმროსათვის, კოოპერატივისათვის, სატყეო სამმართველოსათვის და სხვ.

— გვაქვს **„კომუნისტის"** სახელობის მესაქონლეობის ფერმა და სხვ. ამომრჩევლები დაძაბული ყურადღებით ისმენდენ საბჭოს თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენებას.

— ამ ორი-სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთეთ. თვალს ეამება, გულს გაახარებს თემის ცენტრის კეთილმოწყობა. კულტურულადაც რაიონში ბევრ სოფლებს გავასწარით. გვაკლია ერთი რამ: თქვენი დახმარებით ამ საქმესაც გავაკეთებთ. რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა: მომავალ წელს ისლით დახურული ჩვენი მიწური ქოხები ელექტრონის შუქმა გაანათოს.

მართლაც, კინჩხაში ელექტროსადგურის მშენებლობა ფანტაზია არ არის. პრაქტიკული მუშაობა დაწყებულია. ელექტროსადგურის — „ოკაცესის" მშენებლობას სათავეში ჰყავს ხონის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **ს. ბახტაძე**. სადგურის პროექტს ამუშავებს ინჟინერი **მიშა კოპაძე**. პროექტით სადგური 1200 ცხენის ძალიანია. ელსადგური დენს მიაწოდებს სახერხ ქარხანას, სოფ. **ლვედაში** ბარიტის სამუშაოებს, ამუშავებს წისქვილებს და **გაანათებს გლეხების მიწურ ქოხებს**.

ელექტროსადგური, ელექტრონის უხვი სინათლე კინჩხის მშრომელი მოსახლეობისათვის ხვალინდელი საქმეა. ამაში კინჩხის მშრომელი მოსახლეობა მტკიცედ არის დარწმუნებული.

დაიდგა და ამუშავდა ხე-ტყის სახერხი პატარა ქარხანა, რომელიც მომსახურებას უწევს მოსახლეობას. მალე ქარხანა ნახევარფაბრიკატს დაუმზადებს ხონის გრეხილ ავეჯის მძლავრ ფაბრიკას. ქარხანა ნახევარფაბრიკატს აწვდის ივანოვო-ვოზნესენსკის საფეიქრო მრეწველობას და სხვ.

სასოფლო საბჭოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო სახელმწიფო გეგმით დავალებათა შესრულება. მუშაობა ისეა წარმართული, რომ სარაიონო ყრილობაზე სოფლის დელეგატები წარსდგებიან პატაკით ყველა გეგმების (ხორცისა და ყველის დამზადება, სესხების მობილიზაცია და სხვ.) შესრულებით.

საანგარიშო კრებებმა მშრომელ მოსახლეობას შორის უდიდესი აქტივობით ჩაიარა.

კამათში გამოსული სოფლის ენთუზიასტები ხაზს უსვამენ სასოფლო საბჭოს ამ უდიდეს გამარჯვებებს.

— ჩვენი ქოხები თუკი ელექტრონით განათდება — თავს დავდებ, ათ დღეს დამკვრელურად ვიმუშავებ,— სიჩუმე დაარღვია სტეფანე ქართსანიძემ.

— მეც... მეც... მეც...—ალაპარაკდა მთლიანად კრება.

— ოღონდ დაიწყეთ... თქვენი ხელმძღვანელობა, ჩვენი მუშაობა.

ამომრჩევლებმა საბჭოს უსაყვედურეს: საუბნო გზები არ გვივარგა; მოდით, დაგვეხმარეთ, რომ გეგმიანად გავაკეთოთ.

ამომრჩეველთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა საარჩევნო კრებები. საბჭოს წევრებს შორის არიან სოფლისათვის თავდადებულნი ელექტროსადგურის ინიციატორი ა. ვ. ქართსანიძე, გრიშა ხურცილავა, ჰიპიკო კუხალაშვილი და სხვები.

ამომრჩევლებმა საბჭოს მისცეს პრაქტიკული შინაარსის დანაწესი და კმაყოფილი დაიშალნენ.

— კინჩხას სახე შეეცვალა. ელექტროშუქი — მალე გაანათებს ჩვენს სახლებს. აი ბედნიერებიც მაშინ ვიქნებით.

დამსწრე.

სარაიონო ყრილობისათვის გეგმებს უკლებლივ შევასრულებთ

(მახარაძე, ჩვ. სპეც. კორესპონდენტისაგან)

დღეს გურიანთაში სოფლის საბჭოს ახალი შემადგენლობა უნდა აირჩიონ. მოწვეულია ამომრჩევლები.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე თხუნჯობს: — ცოცხალი ადამიანი არ დამაკლდება მე დღეს კრებაზე.

მაგრამ...

კრება დღის 11 საათისათვის იყო დანიშნული და 5 საათზედაც არავინ მოდის სოფლის საბჭოში.

შეწუხდა ორბელიძე, მაგრამ საქმეს ამით რას უშველიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოგროვდა ხალხი და დაიწყეს კრება. ეს უკვე საღამოს 6 საათზე და არა 11 საათზე, როგორც უწყება აფრთხილებდა ამომრჩევლებს. საარჩევნო კრებაზე 548 კაცის ნაცვლად 451 კაცი გამოცხადდა.

— 548-ის ნაცვლად 451 კაცით, — ასე განაცხადა მახარაძის რაიაღმასკომიდან მომავლინებულმა ამხანაგმა კრების დასასრულს. მაგრამ საღამოს, როცა ამხანაგები შეიკრიბენ არჩევნების შედეგის დასაჯამებლად, ამომრჩეველთა დასწრება 81 პროცენტის ნაცვლად 91 პროცენტით განსაზღვრეს.

ეს „არაფერი". სამაგიეროდ სხვა უბნებში იყო კარგი დასწრება. საერთოდ, გურიანთას არჩევნები ცუდად არ ჩატარებულა, თუ ამ ინციდენტს არ ჩავთვლით. და საერთოდ გურიანთაში არც ისე ცუდი სასოფლო საბჭოა. მახარაძის რაიონის ხელმძღვანელები ამ სოფელს მუდამ მოწინავეთა შორის ახსენებენ და ეს სწორიცაა. გურიანთელი ამხანაგები იძლევიან გეგმათა შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს. გურიანთელები ნამდვილად იბრძვიან ბოლშევიკური კოლმეურნეობისა და შეძლებული კოლმეურნეებისათვის. აქ კულტურული საქმიანობაც კარგ დონეზე დგას და სოფლის აღმშენებლობაშიც გარკვეული მიღწევებია.

მხოლოდ, როგორც მახარაძის რაიონის პოლიტგანყოფილების ქალთა ორგანიზატორმა ამხ. ქეთო ელენტმა საარჩევნო კრებაზე აღნიშნა, გურიანთელები საშემოდგომო სამუშაოების შესრულებაში ჩამორჩენილან.

ჩამორჩენილია მაგალითად ჩაის უბეში ფოთლის კრეფის, ნიადაგის მომზადების, ჩაის პლანტაციათა მიმდინარე რემონტის, ახალი ლობეების გაკეთების, დრენაჟების გაყვანისა და საფარი თხრილების ამოღების საქმე. თუმცა დრო არ ამოწურულა ჯერ, მაგრამ რაც დროა გასულა, იმდენი სამუშაო არაა შესრულებული.

და საარჩევნო კრება იღებს ვალდებულებას საბჭოების სარაიონო ყრილობისათვის ყოველგვარი გეგმა უკლებლივ შეასრულოს.

ნ. პაიჭაძე.

საბჭოთა არჩევნები დამთავრდა

ბაღდათის რაიონი

საბჭოების საარჩევნო კამპანია ბაღდათის რაიონში 20 ნოემბერს დამთავრდა.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით რაიონის კოლმეურნეობებმა და სოფ. საბჭოებმა იკისრეს ვალდებულება დამზადებათა და სახელმწიფოს სხვა დავალებათა გეგმები ვადაზე ადრე შეასრულონ და ამ მხრივ საგრძნობი მიღწევები მოიპოვეს.

აღსანიშნავია ამომრჩეველთა და განსაკუთრებით ქალთა აქტივობის ზრდა.

სოფ. ზეგანში ქალებმა განაცხადეს, რომ ღვინის და ყურძნის კონტრაქტაციის დროს დაშვებულია შეცდომები. ზოგიერთი მეურნეობის ხელშეკრულება დადებული აქვს ნაკლებ რაოდენობაზე, ვიდრე მას შეუძლია სახელმწიფოს მიყიდოს. ქალებმა მოითხოვეს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების დროს ზუსტად იქნეს აღრიცხული თვითეულ კონტრაქტანტ მეურნეობის შესაძლებლობა.

სოფ. დიმში ქალებმა გააშავეს საბჭოს წევრად დასახელებული ამხანაგის კანდიდატურა იმის გამო, რომ იგი საარჩევნო კრებაზე ნასვამი გამოცხადდა.

საბჭოებში არჩეულია სულ 325 დელეგატი, მათ შორის 42 ქალი ანუ არჩეული დელეგატების 13 პროცენტი, გასულ არჩევნებში დელეგატი ქალები მხოლოდ 5—6 პროც. შეადგენდენ.

ქ. ლ—ია.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

სიმკვიდრე დადასტურებული და განმტკიცებულია

ამხ. ლიტვინოვის და ლავალის საუბარის გამო

პარიზი, 22 ნოემბ. პრესა აღნიშნავს, რომ ჟენევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამხ. ლიტვინოვის საუბარი ლავალთან. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საუბარი ორ საათზე მეტს გაგრძელდა და, როგორც „პტი პარიზიენი" წერს, მას გულწრფელი და გულითადი ხასიათი ჰქონდა არა მარტო დიპლომატიური აზრით. პრესა აღნიშნავს, რომ, პირველ ყოვლისა, ლაპარაკი იყო აღმოსავლეთის პაქტზე.

„ევრი" აცხადებს: **„აღმოსავლეთის პაქტის პრობლემასა და საფრანგეთ-საბჭოთა თანამშრომლობის საქმეში დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ"**. გაზეთის ცნობით, ლავალმა გაუცხადა ამხ. ლიტვინოვს, რომ მოლაპარაკება აღმოსავლეთის პაქტის გარშემო ამიერიდან მაქსიმალური სისწრაფით წავა წინ, რომ პოლონეთს პასუხი ეგზავნება ვარშავაში და რომ პოლონეთის აზრი უმოკლეს ვადაში უნდა გამოირკვეს.

„ლავალმა, წერს „პტი პარიზიენი", საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლისთანავე განაახლა მუშაობა აღმოსავლეთის პაქტზე. იგი არ ჰკარგავდა იმედს, რომ პოლონეთი გონს მოვა". „რათა მისთვის შეემსუბუქებინა ეს გზა, — აცხადებს გაზეთი, — ლავალმა განიხილა ზოგიერთი შესაძლებლობანი. მას იმედი ჰქონდა, რომ პირადად მოელაპარაკებოდა ბეკს ჟენევაში. ბეკი თითქოს იზიარებდა ამ განზრახვას, მაგრამ ნამდვილად არაფრით არ დაუმტკიცებია ეს და აქამდე არ გამოჩენილა ჟენევის ჰორიზონტზე". „ასე თუ ისე, — განაგრძობს გაზეთი, — ლავალს და ლიტვინოვს წინასწარ არ განუსაზღვრავთ აღმოსავლეთის პაქტის საბოლოო განვითარება, მაგრამ პირად შეხვედრისას გაუზიარეს რა ერთმანეთს თავიანთი აზრი, კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სიმკვიდრე დადასტურებული და განმტკიცებულია" (ადს).

ესპანეთში მოკლულია 5.000 მაღაროელი

ლონდონი, 22 ნოემბერი. ცნობილი მოღვაწე ქალი, ლეიბორისტი ვილკინსონი, რომელმაც იმოგზაურა ესპანეთში, ყოველკვირეულ ორგანო „ნიუ ლიდერში" აცხადებს, რომ იქ მოკლულია სულ ცოტა 5.000 მაღაროელი, ამასთან ბევრი მათგანი სიკვდილით იქნა დასჯილი ბრძოლების შემდეგ. საპატიმროში, რომელშიც მოთავსებული არიან პოლიტიკური პატიმრები და რომელიც ვილკინსონმა დაათვალიერა, დამწყვდეული მუშები არაერთხელ მიმართავდენ მას ერთადერთი სიტყვით— „ასტურია", რითაც მას აგრძნობინებდენ, რომ იგი უნდა გაეცნოს მდგომარეობას ამ პროვინციაში. როცა ვილკინსონი თავის დაქნევით აღნიშნავდა, რომ იგი უკვე მიხვდა მათ სურვილს, მუშები კმაყოფილებას გამოხატავდენ. (ადს).

ფაშისტების გამოსვლა კარპენტრაში

პარიზი, 22 ნოემბერი. გუშინ კარპენტრაში, რომლის მოსახლეობა 12.000 მცხოვრებისაგან შესდგება, უკიდურესმა მემარჯვენე დეპუტატმა ანრიომ მოიწვია კრება. კომუნისტები და სოციალისტები მოუწოდებდენ მოსახლეობას საკადრისი პასუხი გაეცათ ფაშისტების გამოსვლისათვის. ქალაქში მიღებული იყო თავდაცვის საგანგებო ზომები. ქუჩებში დადიოდა ჟანდარმერიის 30 რაზმი. მომზადებული იყო სანიტარული ავტომობილები, ვაჭრებს უბრძანეს დაკეტონ მაღაზიები. ანრიომ, რომელსაც პოლიცია იცავდა, გახსნა კრება, რომელზედაც გამოცხადდა 600 კაცი. ანტიფაშისტურ მიტინგზე, რომელიც კომუნისტებმა და სოციალისტებმა მოაწყეს, გამოცხადდა 3.500 კაცზე მეტი, ე. ი. მთელი მოზრდილი მოსახლეობა. მიტინგის შემდეგ მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია. როცა პოლიცია ცდილობდა დემონსტრანტების გაფანტვას, მოხდა შეტაკება. ბევრია „დაჭრილი, მათ შორის ერთი მძიმედ დაიჭრა. (ადს).

საარის მთავრობის დადგენილება

პარიზი, 22 ნოემბერი. როგორც საარბრიუკენიდან იტყობინებიან, საარის მთავრობის თავმჯდომარემ [illegible] კომისიის შუამდგომლობით, [illegible] აუკრძალოს [illegible] რაიმე პოლიტიკური [illegible] პლებისციტის [illegible] ბრძოლაში (ადს).

მოიერიშეთა რაზმების „წმენდა" გაგრძელდება

ლონდონი, 22 ნოემბერი. „დეილი ჰერალდის" გადმოცემით, რეიხსვერის სარდალი გენერალი ბლომბერგი ჰიტლერისადმი წარდგენილ მოხსენებაში ილაშქრებს მოიერიშეთა რაზმების შტაბის უფროსის ლუტცეს იმ შუამდგომლობის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს მოიერიშეთა რაზმების დატოვებას რეიხსვერის რეზერვად 800 ათასი კაცის შემადგენლობით. ბლომბერგი აღნიშნავს, რომ დისციპლინის, მორალური და ფიზიკური მდგომარეობის მხრით მოიერიშეებს უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. ჰიტლერმა,—აღნიშნავს გაზეთი, —მოხსენების თანახმად, გადასწყვიტა, რომ, მოიერიშეთა რაზმების „წმენდა" უნდა გაგრძელდეს.

საფრანგეთის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მოწოდება

პარიზი, 22 ნოემბერი. პრესა აქვეყნებს კომუნისტური და სოციალისტური პარტიების საერთო მოწოდებას საფრანგეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკის გამო.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ დუმერგის კაბინეტის დაცემა წარმოადგენს ორივე პარტიის მოქმედების ერთიანობის პოლიტიკის გამარჯვებას. მთავრობის პროექტი სახელმწიფო მოსამსახურეთათვის გაფიცვის უფლების წართმევისა არის სიგნალი, რომ ანალოგიური ღონისძიებანი ყველა მუშის მიმართ გატარდება. იგი მიზნად ისახავს აგრეთვე მთავრობის აპარატის ფაშიზაციას. ქუჩებში დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიზანია წაართვას მუშებს მრავალი წლის ბრძოლით მოპოვებული სამოქალაქო უფლებანი და ამით, ქუჩა გაწმინდოს ფაშისტებისათვის. მიმართვა მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ ფაშისტური ორგანიზაციების დაშლისა და განიარაღებისათვის და მთავრობის პროექტების წინააღმდეგ (ადს).

დენენი ახალ საბიუჯეტო ასიგნობებს ითხოვს

პარიზი, 22 ნოემბერი. ავიაციის მინისტრმა დენენმა ავიაციის საქმეთა საპარლამენტო კომისიაში განაცხადა, რომ პალატამ გასულ წელს ხმა მისცა საგანგებო კრედიტებს საფრანგეთის ავიაციის გასაახლებლად 3 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. ეს კრედიტები გახსნილი იყო სამი წლის ვადით — 1934 წლიდან 1937 წლამდე. წელს ამ თანხიდან დახარჯულია 500 მილიონი. დენენი მოითხოვდა, რომ დარჩენილი თანხა გადატანილ იქნას შემდეგი წლის ბიუჯეტში. გარდა ამისა, დენენმა ითხოვა მიეცეს ავიაციის სამინისტროს ნორმალური საბიუჯეტო წესით 1.500 მილიონი 1935 წლისათვის. დენენის განცხადების თანახმად, პრესაში გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს გერმანიას 52 ათასი სამხედრო თვითმფრინავი ჰქონდეს, სიმართლეს არ შეეფერება. დენენის ცნობებით, გერმანიას 1934 წლამდე მოეპოვებოდა მხოლოდ კომერციული თვითმფრინავები, რომელთა გადაკეთებაც ომის მიზნებისათვის საჭიროების დროს შეიძლება. მდგომარეობა ძალიან შეიცვალა იმის შემდეგ, რაც ავიაციის მინისტრად დაინიშნა გერინგი, რომელმაც სპეციალური სამხედრო თვითმფრინავების წარმოება მოაწყო.



მოსკოვის საბჭოს მარმარილოს დარბაზში შესდგა მოსკოვის საბჭოს და რაისაბჭოების დეპუტატ და სექციონერ ქალთა კრება, მიძღვნილი საარჩევნო კამპანიის საკითხებისადმი. კრებას დაესწრენ ნ. კ. კრუპსკაია და მ. ი. ულიანოვა. სურათზე: კრების პრეზიდიუმში ნ. კ. კრუპსკაია ესაუბრება დიასახლისს, მოსკოვის საბჭოს წევრს ამხ. კირილოვას. მათ გვერდით: ფაბრიკა „კრასნი ბოგატირის" სამქროს გამგე ამხ. ფოკინა და მ. ი. ულიანოვა.

* * *

მ. ულიანოვა

ილიჩი საბჭოების მე-2 ყრილობაზე

1917 წლის 6 ნოემბერს, საღამოს მოგვიანებით, ვლადიმერ ილიჩმა დატოვა მარგარიტა ფოფანოვას ბინა, სადაც იგი რამდენიმე ხანს იმალებოდა, დიასახლისს მან დაუტოვა ბარათი, რომ მიდის იქ, სადაც წასვლას იგი მას არ ურჩევდა.

გაიკეთა მოჭალარა პარიკი, რომელსაც მისთვის წარსულში უკვე საგრძნობი სამსახური გაეწია, ყბა შეიკრა, რომ პირისახე დაეფარა და სმოლნისაკენ გაემართა. ეს, რათქმა უნდა, სახიფათო იყო, მაგრამ ბინაში ჯდომა რევოლუციის გადამწყვეტ დღეებში ვლადიმერ ილიჩს არ შეეძლო, იგი აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობას უნდა შესდგომოდა. მისი გამოჩენა სმოლნიში იყო არასასიამოვნო სიურპრიზი შემთანხმებელი ბელადებისათვის, რომელნიც [illegible] გამოვარდენ ოთახიდან, სადაც ისინი შემთხვევით შეხვდნენ ლენინს.

მეორე დღეს, საღამოს, პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პლენარული სხდომა მიმდინარეობდა. საბჭოს უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა. ვ. ი. დარბაზში გამოჩნდა მაშინ, როცა საბჭოს თავმჯდომარე სიტყვას ამბობდა. იგი მაშინვე იცნეს, და მქუხარე ტაშმა დიდ ხანს საშუალება არ მისცა ორატორს სიტყვა განეგრძო. მაგრამ იგი თვითონაც შეეცადა ლაპარაკი მალე დაემთავრებინა, რამდენიმე სიტყვა თქვა ლენინზე და მას დაუთმო სიტყვა.

სამწუხაროდ, ილიჩის მიერ პეტროგრადის საბჭოს ისტორიულ სხდომებზე და საბჭოების სრულიად რუსეთის მე-2 ყრილობის პირველ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვების სტენოგრაფირება არ წარმოებდა. მათ შინაარსზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მხოლოდ მოკლე საგაზეთო ანგარიშების მიხედვით, რომლებიც ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში შევიდა.

არავის მოსვლია აზრად არც ის, რომ გადაეღოთ სურათი საბჭოების სრულიად რუსეთის მე-2 ყრილობის პირველი სხდომისა 8 ნოემბერს, სადაც ლენინმა გააკეთა მოხსენება ზავსა და მიწაზე და რომელზედაც მიღებულ იქნა დადგენილება მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნის შესახებ.

ამ ისტორიულმა სხდომამ ყველა დამსწრეზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მახსოვს, როგორ აღგზნებული იყვნენ დამსწრენი, მახსოვს, როგორ ტიროდა ერთი გლეხი, როცა ისმენდა ილიჩის სიტყვას მიწაზე, და ცრემლმორეული რაღაცას სიცილით გაიძახოდა. იგი თავის სიხარულს თავისებურად ხატავდა. და როგორი იყო ჩვენი აღშფოთება, როცა ჩვენგან ახლოს მდგომმა რამდენიმე მენშევიკმა, — მენშევიკთა ბელადებმა ყრილობა სხდომის დასაწყისში დატოვეს,—სიხარულის და ბედნიერების ამ უშუალო გამოხატულებაზე სიცილით უპასუხეს! მათ ეს ბუტაფორიად მიიღეს, ეს გლეხი შეადარეს, როგორც სცენაზე მოთამაშე სულელი. ჩვენს აღშფოთებულ სიტყვებზე მათ ხელი ჩაიქნიეს და სიცილით დარბაზი დატოვეს. „შეგვიძლიათ მიბრძანდეთ", — მიაძახეს მათ.

„შემთანხმებლური ცაკის რწმუნებანი გათავდა", — ნათქვამი იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების და გლეხთა საბჭოების დელეგატებს სრულიად საკავშირო ყრილობის მოწოდებაში, — „ემყარება რა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა უდიდესი უმრავლესობის ნების ყოფას, ემყარება რა მუშების და გარნიზონის ძლევამოსილ აჯანყებას ლენინგრადში, ყრილობა ძალაუფლებას თავის ხელში ღებულობს".

ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა.

დადგენილება

სამხედრო საბჭოს შესახებ ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისართან

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1. სამხედრო საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისართან.
2. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი.

სამხედრო საბჭოს წევრებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის წარდგენით.

3. სამხედრო საბჭო განიხილავს იმ საკითხებს, რომლებსაც მის განსახილველად დააყენებს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, აგრეთვე იმ საკითხებსაც, რომლებსაც წამოაყენებენ საბჭოს წევრები.
4. სამხედრო საბჭოს მოწვევის ვადებს და სხდომების დღის წესრიგს აწესებს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი.
5. სამხედრო საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას ამტკიცებს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი და ტარდება ცხოვრებაში მისი ბრძანებებით და განკარგულებებით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ვ. მოლოტოვი
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ა. ენუქიძე.
მოსკოვი, კრემლი.
22 ნოემბერი, 1934 წ.

ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისართან სამხედრო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისართან სამხედრო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

კ. ე. ვოროშილოვი — სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი (სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე), ი. ბ. გამარნიკი — სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, მ. ნ. ტუხაჩევსკი—სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მეორე მოადგილე, ი. ი. ალკსნისი, მ. პ. ამელინი, ი. რ. აპანასენკო, ე. აპოგა, ლ. ნ. არონშტამი, მ. ი. ბარანოვი, ი. პ. ბელოვი, ი. კ. ბერზინი, ვ. კ. ბლიუხერი, ს. მ. ბუდიონი, ა. ს. ბულინი, მ. ი. ვასილენკო, გ. ი. ვეკლიჩევი, მ. დ. ველიკანოვი, მ. ვ. ვიქტოროვი, ლ. მ. გალერი, ი. ი. გარკავი, ი. პ. გაილიტი, მ. ი. გერმანოვიჩი, ო. ი. გოროდოვიკოვი, ს. ე. გრიბოვი, ა. ს. გრიშინი, ი. კ. გრიაზნოვი, გ. ი. გუგიძი, ი. ნ. დუბოვოი, პ. ე. დიბენკო, ა. ი. ეგოროვი, პ. ა. ეფიმოვი, ფ. ა. ინგაუნისი, ბ. მ. იპო, ე. ს. კაზანსკი, ს. ს. კამენევი, ნ. დ. კაშირინი, ი. კ. კოჟანოვი, ბ. ი. კორკი, გ. ი. კულიკი, დ. ა. კუჩინსკი, ა. ი. ლაპინი, მ. კ. ლევანდოვსკი, ნ. ლევიჩევი, ს. ა. მეჟენინოვი, ა. ი. მეზისი, კ. ა. მერეცკოვი, ს. პ. ობისოვი, გ. ი. ოკუნევი, ვ. მ. ორლოვი, პ. ი. ოშლეი, გ. ა. ოსეპიანი, ნ. ნ. პეტინი, ა. პ. პროკოფიევი, ნ. მ. როგოვსკი, მ. ვ. სანგურსკი, ა. ი. სედიაკინი, ი. მ. სინიავსკი, ი. ე. სლავინი, პ. ა. სმირნოვი, რ. ა. ტაიროვი, ს. კ. ტიმოშენკო, ი. ფ. [illegible], ა. ი. ტოდორსკი, ს. ა. ტუროვსკი, ი. პ. უბორევიჩი, ს. პ. ურიცკი, ი. ფ. ფედკო, ბ. მ. ფელდმანი, ი. მ. ფიშმანი, ი. ა. ხალეპსკი, ვ. ვ. ხრიპინი, ა. ვ. ხრულევი, ბ. მ. შაპოშნიკოვი, ვ. ნ. შესტაკოვი, ა. ლ. შიფრესი, გ. მ. შტერნი, რ. პ. ეიდემანი, ი. ე. იაკირი, ა. პ. იარცევი, გ. გ. იასტრებოვი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვ. მოლოტოვი.
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—
ი. მიულაუკი
მოსკოვი, კრემლი.
22 ნოემბერი, 1934 წ.

კოლმეურნეობებში შემოსავლის საბოლოო განაწილების შესახებ

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ბიუროს 1934 წლის 21 ნოემბრის დადგენილება

1. დამტკიცდეს საქართველოს მიწსახკომის და მიწსახკომის სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია კოლმეურნეობებში შემოსავლის საბოლოო განაწილების შესახებ.

2. ცენტრალური კომიტეტი მოაგონებს რაიკომებს და პოლიტგანყოფილებებს, რომ კოლმეურნეებს შორის შემოსავლის შრომადღეების მიხედვით სწორად განაწილებაზე დამოკიდებულია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცება, დაავალებს საოლქო კომიტეტების, სარაიონო კომიტეტების მდივნებს და სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათ უფროსებს პირადად შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში შემოსავლის საბოლოო განაწილების გეგმა, ამასთან უზრუნველყონ შემოსავლის სწორად განაწილება შრომადღეების მიხედვით, რათა:

ა) განაწილდეს კოლმეურნეებს შორის საერთო წლიური შემოსავლის არანაკლებ 60 პროცენტისა.

ბ) გამოვლინებულ იქნას, შემოსავლის საბოლოო განაწილებასთან დაკავშირებით, მუდმივი საწარმოო ბრიგადების მუშაობის შედეგები კოლმეურნეობებში და ჩატარდეს ცალკეული ბრიგადების შრომადღის დიფერენცირებული ანაზღაურება, ცალკეული ბრიგადის მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანაზღაურების გადიდების ან შემცირების გზით მუშაობის ხარისხის მიხედვით.

3) წინადადება მიეცეს საოლქო კომიტეტების, სარაიონო კომიტეტების მდივნებს და სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებს მიამაგრონ კოლმეურნეობებს პასუხისმგებელი და ანგარიშის დარგის მუშაკები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მათ შემოსავლის განაწილების საქმეში, ჩაატარონ კოლმეურნეობათა მოანგარიშეების, გამგეობების და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა გულდასმითი ინსტრუქტაჟი კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების წესების შესახებ.

4. რაიკომებმა და პოლიტგანყოფილებებმა, კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების შედეგების გამორკვევასთან დაკავშირებით, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, პირველ რიგში, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის.

5. წინადადება მიეცეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას", „კომუნისტის", „კოლექტივიზაციის", „ენი-კენდის", „პროლეტარის" და სხვ. რედაქციებს, აგრეთვე ყველა რაიონულ გაზეთს ფართოდ გააშუქონ საკოლმეურნეო შემოსავლის საბოლოო განაწილების მიმდინარეობა და შედეგები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა თვითმფრინავი ანტ—9, რომელიც დაფრინავს ყოველდღიურად ტფილის-ქუთაისს შორის.

საქმე ეხება უკანასკნელ პროცენტებს

„პრავდი"-ს მოწინავე 23 XI

ამხ. სტალინის ექვსმა პირობამ, მისმა ლოზუნგმა ტექნიკის დაუფლების შესახებ მიმდინარე წელს უხვი ნაყოფი მოგვცა, და საკუთრივ მძიმე მრეწველობაში. 1934 წელი დიდი წელიწადი იყო მძიმე მრეწველობისათვის. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად შეასრულებს პროგრამას, თუ დეკემბერში დირექტორები, სპეციალისტები, დამკვრელები კიდევ უფრო ინტენსიურად იმუშავებენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე და წარმოების კულტურაზე.

10 თვის განმავლობაში — იანვრიდან ნოემბრამდე — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობამ გამოუშვა სამ ნახევარი მილიარდი მანეთით უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე გასულ წელს. პროცენტულად ეს ზრდა 27,2-ს უდრის. წლიური გეგმა ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია 82,4 პროცენტით. ნოემბერსა და დეკემბერში უნდა შესრულდეს წლიური გეგმის კიდევ 17,6 პროცენტი. იანვრიდან ნოემბრამდე წლიური პროგრამა საშუალოდ თვეში სრულდებოდა 8,2 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელ თვეებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მუშაობის ტემპი, რათა წლიური გეგმა გადაჭარბებით იქნას შესრულებული. მართალია, ოქტომბერში წლიური გეგმა 9,3 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ასეთი ტემპი არ არის საკმაო გეგმის შესრულებისათვის ისე, რომ შეივსებოდეს მძიმე მრეწველობის უდიდეს გამოუყენებელ რესურსებს.

ანალიზს ვუკეთებთ რა ხარისხობრივ მაჩვენებლებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს ბევრი რამ გაკეთდა. ახალი ტექნიკის და ახალ საწარმოთა ათვისების შედეგები 1934 წელს ძალიან დიდია. შრომის ნაყოფიერება 1933 წლის საშუალო ნაყოფიერებასთან შედარებით 14,1 პროცენტით გაიზარდა. ერთი მუშა 1933 წელს (იანვარი — ოქტომბერი) მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში ყოველთვიურად ამზადებდა 634 მანეთის პროდუქციას, ხოლო 1934 წლის ამავე ხნის განმავლობაში — 734 მანეთის პროდუქციას. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა იმაზე, რომ მაშინ, როცა პროდუქცია გასულ წელთან შედარებით 27,2 პროცენტით გაიზარდა, მუშების რაოდენობამ (სეზონური დარგების გარდა) იმატა მხოლოდ 9,8 პროცენტით. თვითღირებულება 9 თვის განმავლობაში 1933 წლის არსებულ საშუალო თვითღირებულებასთან შედარებით შემცირდა 5,7 პროცენტით. მაგრამ გეგმა ჯერ კიდევ არ სრულდება. ცაკის მე-4 სესიამ გასული წლის დეკემბრის დამლევს 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის დააწესა შრომის ნაყოფიერების ზრდა 17 პროცენტით და თვითღირებულების შემცირება 6,5 პროცენტით. უნდა აღინიშნოს რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ოქტომბერში შენელდა. 9 თვის განმავლობაში შედეგი უკეთესი იყო — შრომის ნაყოფიერების ზრდა 16 პროცენტით, ვიდრე 10 თვის განმავლობაში — 14,1 პროც. საერთოდ მრეწველობაში უნდა [illegible] რომ გასული წლის მეოთხე კვარტალში წარმოება ძალიან მაღალ დონეზე მიდიოდა, ამიტომ მიმდინარე წლის ნოემბერსა და დეკემბერში საჭიროა წარმოების კიდევ უფრო უკეთესი ორგანიზაცია, რათა შესრულდეს ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი.

მძიმე მრეწველობის ცხოვრებაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა შავი მეტალურგიის წარმატება. 20 ნოემბრისთვის, წინასწარი მონაცემებით, გადადნობილია 9 მილიონ 240 ათასამდე ტონა თუჯი — უკვე 2 მილიონ 100 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მთელი 1933 წლის განმავლობაში. წლიური გეგმა — 10 მილიონი ტონა თუჯი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ბრძმედები ამჟამად დღე-ღამეში აძლევენ 30 ათას ტონაზე მეტ თუჯს. 19 ნოემბერს გამოდნობილია 33 ათას ტონაზე მეტი.

სარეკორდო ციფრია! ისეთმა დიდმა ქარხნებმა, როგორიცაა პეტროვსკის სახელობის, მაკეევკის, წლიური პროგრამა უკვე შეასრულეს, ხოლო მაგნიტოგორსკის ქარხანამ წელს ერთ მილიონ ტონაზე მეტი თუჯი მოგვცა. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უნდა დაგვჯდეს, მოვაწყოთ ფოლადის გამოდნობის და ტკეცილის გამოშვების გეგმის შესრულება. ბოლო დღეებში ფოლადის გამოდნობის და ტკეცილის გამოშვების მრუდი კვლავ საგრძნობლად ამაღლდა. ნოემბერსა და დეკემბერში უნდა გამოვადნოთ 2 მილიონ ტონამდე ფოლადი და გამოვუშვათ 1,2 მილიონ ტონამდე ტკეცილი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ დირექტორები, პარტიული ორგანიზაციები, ფოლადგამომდნობნი და გამგორებელნი, ამ საამქროთა უფროსები ამ საქმეს ჯეროვანად მოკიდებენ ხელს, მოახდენენ მთელი რესურსების და ყურადღების კონცენტრაციას, მაშინ გეგმა უეჭველად შესრულდება. ეს დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა ამხ. ორჯონიკიძეს შეეძლოს მოახსენოს საბჭოების მე-7 ყრილობას, რომ მძიმე მრეწველობის გეგმა, მათ შორის შავი მეტალურგიის მთელი ციკლის გეგმა მთლიანად შესრულებულია.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივი შემოწმება, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით იწყება და რომელიც მიზნად ისახავს მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, საბჭოების არჩევნები აგრეთვე გახდება შემდგომი ხტომის წარმოების კულტურის ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის და რაოდენობის ზრდისათვის. ბევრმა დარგმა ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს, რომ ისინი საბჭოების ყრილობის წინაშე შესრულებული პროგრამით წარდგნენ. ეს განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობას ეხება.

მე-17 ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დასვა ფერადი მეტალურგიის მოწესრიგების ამოცანა. მართალია, ბოლო დროს სპილენძის მრეწველობის მომქმედ ქარხნებში მდგომარეობა გაუმჯობესდა. სპილენძის საშუალო ყოველდღიური გამოდნობა მკვეთრად გაიზარდა. მაგრამ წლიური გეგმა 10 თვის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 64 პროცენტით, უმთავრესად, განსაკუთრებით ახალ მშენებლობებზე, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. დროა, დიდი ხანია დროა, სპილენძის მრეწველობის მუშებმა ბოლო მოუღონ მანქანათმშენებლობის და სხვა მათგან დამოკიდებული მრეწველობის სხვა დარგების ზრდის შეფერხებას. წლის დამლევამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, ხოლო სამუშაო ურამრავია. დეკემბერი უნდა გახდეს და კიდეც გახდება მთელი მძიმე მრეწველობის ახალ წარმატებათა თვე.

საქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნებმა გამოიწვიეს პროლეტართა მილიონების, მოსამსახურეების და საბჭოთა ინტელიგენციის აქტივობის გიგანტური აღმავლობა, საარჩევნო კამპანიის გამოყენება რომელთა ათეული მილიონების მობილიზაციისათვის, ყველა საბჭოს — პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლ ორგანოდ, შრომის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზატორებად გადაქცევისათვის, მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის, გეგმების შესრულებისათვის — ყველა პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა!

საქმე გეგმის უკანასკნელ პროცენტებს ეხება, მაგრამ ეს ყველაზე უფრო ძნელი და რთული საქმეა.

დოც. გ. მუავანაძე

სოციალისტურ სახელმწიფოს უნდა მიეცეს კარგად მომზადებული ექიმი

სამედიცინო განათლების საქმემ უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ცვლილებანი. გაშლილი სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს მეტ საექიმო პერსონალის მიწოდებას და გაუმჯობესებულ მომსახურებას. სწრაფი ტემპით იზრდება და ფართოვდება საბჭოთა კავშირში მრავალი სახის და დარგის სამკურნალო პროფილაქტიური ერთეულები, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიციურ მუშაკთ. ეს გარემოება მიზეზი შეიქნა ზოგიერთი გადახრებისა სამედიცინო განათლების საკითხში ძირითადი ფაკულტეტები მრავალრიცხოვან წვრილ ფაკულტეტებად დაქუცმაცდა, (სანიტ-ჰიგიენური, დედათა და ბავშვთა დაცვის, საექიმო მომზადება და სხვ.). ხშირად ეწყობოდა ისეთი ფაკულტეტები, რომელთაც არა თუ რაიმე მატერიალური საფუძველი ჰქონდათ, არამედ არც პედაგოგიური ძალები გააჩნდათ. ზოგჯერ საექიმო სამკურნალო საქმე მეორე ხარისხოვან საქმედ ირიცხებოდა. სახელმწიფოს ვერც ე.წ. „სპეციალისტები" ექიმები (ქირურგი, გინეკოლოგი, პედიატრი და სხ.) მიეციათ და ვერც მკურნალი ექიმი, რაც ეჭვი არ არის, განზრახულ სპეციალობის ღრმად შესწავლას მოითხოვს. ჩვენ კი გვესაჭიროება კარგი მკურნალი ექიმი, რომელსაც მტკიცედ აქვს შეთვისებული საბჭოთა პროფილაქტიური მედიცინის ძირითადი საფუძვლები და ამ პრინციპებს ღრმად ჩაჰქსოვს თავის ყოველდღიურ სამკურნალო-გამჯანსაღებელ საქმიანობაში.

ამხ. სტალინმა დროზე აიღო ალღო სამედიცინო განათლების საქმის ჩამორჩენას რაც „სახელმწიფოებრივ დანაშაულს უდრის", და მოგვიწოდა ამ გარემოების დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. საკავშირო ცაკის ა.-წ. 3 სექტემბრის დადგენილებას ამ მხრივ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დადგენილებაში უკვე ნაჩვენებია მთავარი და გადამწყვეტი ღერძი, რასაც შეუძლია დაშვებული შეცდომის რადიკალურად გამოსწორება. ეს არის ერთი ძირითადი სამკურნალო ფაკულტეტის მოწყობა. ყველა სამედიცინო ინსტიტუტში საერთო თეორიული განათლების მიღება მესამე კურსამდე (მე-5 სემესტრის ჩათვლით) და ზოგიერთ სპეციალური განხრების მოწყობა მხოლოდ მეხუთე კურსზე (თერაპიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური). ზოგიერთ სამედიცინო ინსტიტუტში, და მათ შორის საქართველოშიაც სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსიდან ეწყობა ბავშვთა ფაკულტეტი—ბავშვთა ექიმების მომზადება ისეთი უნდა იყოს, რომ პედიატრი ექიმი იმავე დროს კარგი თერაპევტიც იყოს. ამ მიზნით საგრძნობლად გადიდებულია კლინიკური დისციპლინების საათები, შეზღუდულია და აგრეთვე შემჭიდროებულია ზოგიერთი თეორიული საგანი. გაღრმავებულია პრაქტიკული საგნების სწავლების საქმე, მეტი სიმკვეთე სჩანს სპეციალურ დარგების სწავლებასა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში უფროს კურსებზე. მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან სტუდენტის ცოდნის შემოწმების საკითხებს. დამთავრებისას შემოღებულია სახელმწიფო გამოცდები და სხვ. ამრიგად კარგი მომზადებული ექიმის გამოშვება სამედიცინო განათლების ორგანოების მთავარ ყურადღებას იპყრობს. ეს ადვილი გასაგებია: საბჭოთა ექიმი ვერ გახდება კარგი მკურნალი ექიმი, თუ ის იმავე დროს კარგი პროფილაქტიური ექიმიც არ არის და, პირიქით: ექიმი ვერ გაათრთხილებს მშრომელ მოსახლეობას ამათუიმ დაავადებისაგან თუ მან თვით დაავადება და მისი მიზეზი კარგათ არ იცის.

ცაკის დადგენილებაში დიდი ყურადღებაა მიქცეული სტუდენტებისთვის თავის დროზე კარგი სახელმძღვანელოების მიწოდების საკითხს. სახელმძღვანელო სტუდენტისათვის ყოველდღიური იარაღია ცოდნის შესაძენად. არ არის სავალდებულო უსათუოდ ორიგინალური სახელმძღვანელოები ვცდილობდეთ, საკმარისია ვთარგმნოთ რუსულიდან, ან უცხოელ ავტორებისაგან კარგი (მიღებული და მოწონებული) სახელმძღვანელო და დროზე მივაწოდოთ ის სტუდენტებს.

საკმარისად არ არის აგრეთვე გაშუქებული ექიმების გადამზადების საკითხიც უკანასკნელი წლების გამოშვების ახალგაზრდა ექიმებისათვისაც უნდა იქნას სათანადოთ მოწყობილი ექიმის ცოდნის სრულყოფის ინსტიტუტები, სადაც ჯგუფჯგუფად მოვლენ ექიმები და თავიანთ დარგებში, აგრეთვე თეორიულ საგნებშიაც, განსაზღვრულ დროის განმავლობაში გააღრმავებენ ცოდნას, და უფრო მომზადებული დაუბრუნდებიან თავიანთ უბნებს და სამკურნალო ერთეულებს. ტფილისში მეორე წელიწადია უკვე მოეწყო ასეთი ინსტიტუტი, მაგრამ შენობის უქონლობის გამო და აგრეთვე მთელი რიგი ტექნიკური მხარეების მოუგვარებლობით მან ჯერ კიდევ მუშაობა ვერ გაშალა სათანადო ინტენსიობით. ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და ეს ინსტიტუტი კარგად მოწყობილი, სახელმწიფო-სტაბილური უმაღლესი ცოდნის სრულყოფის დაწესებულებად უნდა გადაიქცეს რესპუბლიკის ყველა ექიმისათვის.

დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მთავრობის მიერ მიქცეული სამედიცინო განათლების მუშაკების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. თვიური გასამრჯელო თითქმის ერთიორად იზრდება. ამისათვის სათანადო თანხებიც გამოძებნილი და გადიდებულია ა.-წ. სექტემბრიდან. მომავალი 1935 წლიდან 1937 წლამდეც მიღებულია ზომები საჭირო თანხების გამოსაღებად და საბიუჯეტში შესატანად.

ამრიგად ამხ. სტალინის მითითებამ დიდი შედეგი მოიტანა. თეორიულად და პრაქტიკულად ნაბიჯი გადადგმულია პარტიის და ხელისუფლების მიერ. — ეხლა ჩვენ, სამედიცინო მუშაკებმა მეტის ინტენსიობით და სიმტკიცით უნდა ავითვისოთ ეს ახალი ცვლილებანი სამედიცინო განათლების დარგში და მთელი 100 პროც. ცხოვრებაში გავატაროთ 3 სექტემბრის დადგენილება. საჭიროა კოლექტიურად საკითხების დამუშავება საწარმოო თათბირებზე. სამწუხაროდ ეს დიდი საკითხები ჯერ კიდევ საკმაოთ არ არის დაყვანილი არც მასწავლებლამდე და არც მოწაფემდე! ეს დიდი ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს სამედიცინო ინს-ტის მიერ. ერთი მთლიანი პედაგოგიური აზრი უნდა შემუშავდეს ცაკის დადგენილების გარშემო და ყოველმა პედაგოგმა და სტუდენტმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს თავისი მოვალეობა ყოველდღიურ საქმიანობაში, აქ დაყოვნება აღარ შეიძლება.

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოში

შტატების დამტკიცების წესი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შტატების დამტკიცების წესი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო ყოველწლიურად, სახალხო კომისრების და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების წარდგენით, ამტკიცებს სახალხო კომისარიატთა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა შტატებს და მათი ამ ადგილობრივი ორგანოების საშტატო კონტინგენტებს, რომელთა დაფინანსება მათი ხარჯთაღრიცხვით ხდება; სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების, სასწავლებლების და საბჭოთა კავშირის სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა საშტატო კონტინგენტებს; ტრესტების, გაერთიანებების, რკინიგზების, სანაოსნო საზოგადოებების, კანტორების და სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების მმართველობათა და სამრეწველო, სავაჭრო, საგამსადებლო, მომარაგების, სატრანსპორტო და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ, საკავშირო დაქვემდებარების სხვა საწარმოთა სამმართველო ორგანოების საშტატო კონტინგენტებს.

საშტატო კონტინგენტები წესდება თვითეულ უწყებისათვის მთლიანად და არა მისი ცალკე ორგანოების მიხედვით. თვითეულ ცალკე სახალხო კომისარიატის და ცენტრალურ დაწესებულებათა დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში სახალხო კომისარი ან ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელი ამტკიცებს თვითეულ ქვეუწყებო ადგილობრივ ორგანოს, სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის, სასწავლებლის ან სოციალურ-კულტურული დაწესებულების, აგრეთვე თვითეული ტრესტის, გაერთიანების და სხვ. სამმართველოს და ტრესტში გაერთიანებათა და სხვ. შემავალ საწარმოთა სამმართველო ორგანოების შტატებს მთლიანად თვითეული ტრესტის და გაერთიანების მიხედვით.

კოოპერატიულ სისტემის და საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოებების სამმართველო აპარატების საშტატო კონტინგენტებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ შემოიღონ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შტატების დამტკიცების ანალოგიური წესი. ამასთან იმ დაწესებულებათა შტატებს, რომლების დაფინანსებაც ხდება სარაიონო ბიუჯეტით, უნდა ამტკიცებდნენ სამხარეო-საოლქო აღმასრულებლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ხოლო იმ დაწესებულებათა შტატებს რომელთა დაფინანსებაც ხდება სასოფლო ბიუჯეტით, — რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებისა და ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტებისათვის წარდგენილ შტატების და საშტატო კონტინგენტების განხილვა, მათ შესახებ დასკვნების წარდგენა და მათი შესრულებისთვის კონტროლის გაწევა ევალება ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს (ტას).



მოსკოვის რეკონსტრუქცია.

უკანასკნელ წლებში მოსკოვში დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქის რეკონსტრუქციის ხაზით. სურათზე: ახალი პროსპექტი, რომელიც გაყვანილ იქნა ყოფ. სანადირო რიგის („ოხოტნი რიად") ადგილას.

სამგზავრო ვაგონების ურიკების ჩარჩოების კეთების ტექნიკა ამხ. ლ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში უკვე ათვისებულია. სურათზე: ამხ. ფიქრიაშვილის ბრიგადა აკეთებს ჩარჩოებს მატარებელზე.

დ. მღივნიშვილი

დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

ფშავ-ხევსურეთის მშრომელთა ზეიმი

მიმდინარე წლის ნოემბერში დამთავრდა ხევსურეთის გზის მშენებლობა. ეს გზა დღეს იხსნება რეგულარული მიმოსვლისათვის.

700.000 მანეთი სახელმწიფოს სახსრები, 35.000 კაც-დღე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით,— აი რით გავიყვანეთ ჩვენ ეს გზა ბარისახომდე.

მახსოვს, მაისში, ბარისახოში მოწვეულ სას. საბჭოს პლენუმზე მთელი რიგი ხევსურებისა აღნიშნავდნენ, რომ ბარისახომდე საავტომობილო გზის გაყვანა ეს მიუწდომელი ოცნებაა არისო. სამწუხაროდ ამ აზრს იზიარებდა ზოგიერთი ხევსურეთში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგიც. მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების უშუალო ხელმძღვანელობამ, ბოლშევიკურმა სიმტკიცემ, საგზატრანსის უფროსის ამხ. ვ. ქურდაძის ყოველდღიურმა დახმარებამ, საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის, და მშენებლობის უფროსის ინჟ. ი. გეჯაძის შეუდრეკელმა მუშაობამ, ინჟ. ლომიძის, გზის ტექნიკოსების ჭეიშვილის და იოსებაძის, გზის ოსტატების ქადიაშვილის, ფშიტინის, თათარაშვილის და ნამგალაურის, საუკეთესო დამკვრელი მუშების — კაზანინის, სიტნიკოვის, ასტანინის, ლუდაურის კობახიძის, ანდრონიკოს, უცხენკოს, შკურკას, არუთინოვის, პინკინის, ბერბერაშვილის, ფარქოსაძის, ჭუმბურიძის თავდაუზოგავმა მუშაობამ და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, კოლმეურნეობების და მშრომელ ერთპიროვნ. მეურნეების თავდადებულმა და გმირულმა მუშაობამ გამოიღო ნაყოფი. მთლიანად ათვისებულია მთავრობის მიერ გადადებული თანხა, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა 35.000 კაც-დღის ნაცვლად გაიზარდა 70.000-მდე და გზა ბარისახომდე გაყვანილ იქნა.

ანანურიდან მაღაროსკარამდე 27 კილომეტრზე არსებული გზის გაწმენდა და საფუძვლიანად შეკეთება, 12 კილომეტრზე შიგად გაწვრილი გზის გაკეთება და 15 კილომეტრზე სრულიად ახალი გზის გაჭრა და გაკეთება ფშავ-ხევსურეთის მიუვალ კლდეებში—აი ის სამუშაობი, რომელიც შესრულდა მიმდინარე წელს.

დღეს, ნაცვლად 3—4 დღისა, მგზავრობას ხევსურეთიდან [illegible]მდე უნდება 3—4 საათი და ისიც ავტომობილით. დღეს ფშავ-ხევსურეთის მშრომლები ზეიმობენ ამ დიდი საქმის გაკეთებას. მათი ზეიმი მთელი საქართველოს მშრომელთა ზეიმია.

ინჟ ი. გეჯაძე

ფშავ-ხევსურეთის გზის სამუშაოთა უფროსი

რა გაკეთდა

ინჟ. ი. გეჯაძე

საქ. კპ. (ბ) ც. კ-ის 6 აპრილის დადგენილების საფუძველზე დუშეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები იბრძოდენ ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანისათვის. ეს მშენებლობა არის უდიდესი საქმე, რომელიც საუკუნოებრივად ჩამორჩენილ კუთხეს—ხევსურეთს—მისცემს საშუალებას იქონიოს ცოცხალი კავშირი ჩვენს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან. გზის საერთო მანძილი 54 კილომეტრია, ს. ანანურიდან—ს. ბარისახომდე (ხევსურეთის ცენტრი) გზა მიიმართება მდ. არაგვის ხეობაზე და ჰკვეთს მდინარეს და ხეობებს ხიდებით 12 ადგილას.

მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმა ხუთნახევარ თვეში შესრულდა გადაჭარბებით. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა ხშირი წვიმების და უკანასკნელ დროის კი დიდი სიცივეებისა. გეგმა განისაზღვრებოდა შემდეგი მაჩვენებლებით: მიწის სამუშაო 85 ათასი კუბ. მეტრი (შესრულდა 108 პროც.), კლდის—37 ათასი კუბ. მეტრი (შესრულდა 80 პროც. კლდის სამუშაოების შემცირება აიხსნება გზის ვარიანტის შეცვლით), ქვის საყრდენი კედლების აგება 526 კუბ. მეტრზე (შესრულდა 146 პროც.), ქვა-ფილის დამბების გაკეთება 1450 კუბ. მეტრზე (შესრულდა 520 პროც.) აგებულია აგრეთვე 8 ხიდი მდ. არაგვზე საერთო მანძილით 220 გრძივი მეტრის სიგრძეზე, რაც გეგმას 155 პროც. შეადგენს.

მშენებლობის დამკვრელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალებმა, პარტიის და ხელისუფლების დახმარებით და ხელმძღვანელობით, შესძლეს ამ დავალების შესრულება.

ი. ბექვაია

საქ. კ.პ. (ბ) სენაკის რაიკომის მდივანი.

ბრძოლა კოლხიდის დაბლობის ამოშრობისათვის

„საქართველოს ნესტიანი სუბტროპიკების რაიონები (აჭარისტანი, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო) კოლხიდის დაბლობის.... ამოსაშრობად წარმოებულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გადაიქცევიან უდიდეს მთლიან მასივად, სადაც განვითარდებიან სუბტროპიკული ბაღები".
(ამხ. ლ. ბერიას სიტყვიდან საქ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე).

საბჭოთა კავშირის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის პრობლემას.

ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თვით სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოსპობის საქმეში.

კოლხიდის პრობლემა, რომელიც ვერ გადასჭრა ვერც ნიკოლოზმა და ვერც [illegible] მენშევიკურმა ხელისუფლებამ — გადასჭრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ; ამ საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინება ჩვენს ხელშია.

ბრძოლა კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და მისი ათვისებისათვის მეტად რთული, მეტად მრავალფეროვანია.

კოლხიდა, რომელიც როგორც ამას ამხ. ფ. მახარაძე აღნიშნავდა თავის წერილში, თავის ისტორიულ წარსულში არ წარმოადგენდა ჭაობს, არამედ აქ საკმარისად განვითარებული ხალხი ცხოვრობდა, ჭაობის ნიშანწყალიც არ იყო, მაგრამ ის დროთა ვითარებაში თანდათან დაჭაობდა და დღეს ეს ვეებერთელა დაბლობი—კოლხიდის სამეფოდ ქცეული—გადაჭიმულია 216 ათას ჰექტარ ტერიტორიაზე, გავერანებულია, გამოუყენებელია.

პარტიას და ხელისუფლებას, რომლებიც სოციალიზმის აგებისათვის იბრძვიან, არ შეეძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანისათვის გამახვილებული ყურადღება არ მიექციათ, არ შეეძლოთ უხსოვარ დროიდან წამოჭრილი საკითხი დადებითად არ გადაეჭრათ და ეს ვეებერთელა ტერიტორია სოციალიზმის ინტერესების ქვეშ არ მოექციათ.

შესანიშნავი კლიმატიური პირობები, კოლხიდის ამ ვეებერთელა დაბლობს საკავშირო მნიშვნელობას ანიჭებს. კოლხიდის კლიმატს დიდი მსგავსება აქვს საფრანგეთის რივიერის კლიმატთან, იაპონიის კლიმატთან.

ასეთი კლიმატიური პირობები კი კოლხიდას აყენებს საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბუნებრივ ორანჟერეის პირობებში, სადაც შესაძლებელია მთელი რიგ სუბტროპიკული კულტურების წარმოება.

ამ კულტურების გაშენება თავის თავად ცვლის კოლხიდის დაბლობზე ამჟამად არსებულ ჭაობს და მთელ კოლხიდას ზღვის [illegible] ერთად აქცევს მშრომელთა ჯანმრთელობის კერად, საგარაკო მნიშვნელობის მხარედ.

მაშასადამე, კოლხიდის დაბლობის ამოშრობის პრობლემის გადაჭრა გულისხმობს დასავლეთ საქართველოს დაბლობების მოსახლეობის ეკონომიურ და კულტურულად დაწინაურების საკითხის გადაჭრას, ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორიცაა მიწის სიმცირის მოსპობა, კოლმშენებლობის შემდგომი გაშლა-განვითარება, ამ ვეებერთელა ტერიტორიის მექანიზირებული დამუშავება, მრავალ ფეროვანი კულტურათა წარმოება და განსაკუთრებით ციტრუსოვან კულტურათა გაშენებისაკენ ყურადღების გამახვილება.

რატომ განსაკუთრებით ციტრუსების? — რადგანაც ამ კულტურას ისეთი კვებითი და სამკურნალო მნიშვნელობა აქვს, ურომლისოდ ძნელი ხდება ჩვენი მუშისა და კოლმეურნის სიცოცხლის გახანგრძლივება, მათი ენერგიის შესაძლებლობათა მაღლა აწევა და მის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდა.

როგორც საექიმო დასკვნები გვიმოწმებენ, ლიმონის წვენი საუკეთესოდ მოქმედებს სხვადასხვა ავადმყოფობის დროს (რევმატიზმი, პადაგრა და სხვ.), ხელს უწყობს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლას, კუჭით და ნაწლავებით დაავადებას მკურნალობს, და მრავალი სხვა სარგებლობა მოაქვთ.

მეფისა და მენშევიკების დროს მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი მიუწვდომელი იყო მუშისა და გლეხური სუფრისათვის, ის მხოლოდ მაღალ წოდების სუფრის კუთვნილებას შეადგენდა.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შემდეგ პირობები შეიცვალა. XVII პარტკონფერენციაზე, ამხ. კუიბიშევი დიდ ყურადღებას აქცევდა ა.-კ. ბოლშევიკების ბრძოლას დასმულ საკითხების გადაჭრისათვის და ამბობდა:

„თავისთავად ცხადია, რომ ისეთი კულტურების განვითარების ამოცანები, როგორიც არის ყურძენი, ფორთოხლები, მანდარინები უნდა დასდგნენ ა.-კ. წინაშე ისევე, როგორადაც ლიმონის პლანტაციების განვითარების ამოცანა. მე არ ვფიქრობ, რომ ამ კულტურებს ასე უყურადღებოდ მოვექცეთ, იმიტომ, რომ ყოველ შემთხვევაში ამ ხუთწლედში ჩვენ გვექნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც არც ყურძენი, არც ფორთოხლები, არც მანდარინები არ იქნებიან ფუფუნების საგნები, ისინი იქნებიან ფართო მოხმარების საგნები და ამ კულტურებზე მუშაობა ა.-კ. არის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით".

ხოლო ამხ. ლ. ბერია XVII პარტყრილობაზე ამბობდა:

„მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, რომლებიც წინათ, ფუფუნების, მხოლოდ ბურჟუაზიისათვის ხელმისაწვდომ საგანს შეადგენდა, ამიერიდან უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მოხმარების საგნად. ჩვენს წინაშე დასახულია საპატიო ამოცანა—მივაწოდოთ ციტრუსები საბჭოთა ქვეყნის მუშების სუფრას".

ეს ნაკისრი ამოცანა ჩვენს წინაშე აყენებს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის ფორსირების და ტემპების გაძლიერების საკითხს.

სენაკის რაიონზე, სადაც კოლხიდმშენის მე-2 უბანი აწარმოებს მუშაობას, დაბლობის ამოშრობაზე მოდის 12.000 ჰექტ. ამოსაშრობი ტერიტორია.

ეს ფართობი საგულისხმოა კოლხიდის დაბლობის საერთო მასივში.

ცნობილია, რომ სენაკის რაიონი წარმოადგენს მცირემიწიან რაიონს, მით უმეტეს მეტად მცირეა ვარგისი მიწის ხვედრითი წონა.

ძირითადი მაჩვენებლები ამას ადასტურებენ აშკარად ერთ მეურნეობაზე მოდის ყველა სახის მიწა 2,5 ჰექტ. ხოლო ოჯახის წევრთა საშუალო რიცხვი 4,6 სულს უდრის.

გამოსაყენებელი ფართობიდან სახნავი—91,7 პროც., სარგავი—8,3 პროც., ე. ი. ძირითად ბაზად რაიონში ჯერ კიდევ მემინდვრეობა ითვლება.

სახნავის დამუშავება წარმოებს ყოველწლიურად, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ნათესი ფართობია 95,0 პროც., ხოლო დასვენებული ფართობი—5,0 პროც.

არის ადგილები, სადაც სახნავი ფართობი სისტემატიურად ითესება მთელი 100 პროცენტით და ყოველ წლიურად. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს მცირე მოსავლიანობას და ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ვერ აძლიერებს რაიონის ეკონომიური დაწინაურების ტემპს.

დასათეს კულტურებში გაბატონებულია სიმინდის მონოკულტურა, რომლის ნათესებში შეითესება ხოლმე ხოია და ლობიო. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებში ხელი მიჰყვეს აგრეთვე არაჩისის მოყვანას, რომელსაც არ აქვს ძირითადი მნიშვნელობა.

რაიონში მესაქონლეობას მეორე ხარისხოვანი ადგილი უკავია, მას მოხმარებითი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ და არ გადაქცეულა საწარმოო ხასიათის მქონე სოფლის მეურნეობის დარგად. 1934 წელს ჩატარებული მუშაობა მეცხოველეობის განვითარების საქმეში მეცხოველეობას აქცევს ჩვენს რაიონში მეტად რენტაბელურ დარგად და, მეღორეობასთან ერთად, ერთ ერთ საშუალებად კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევისათვის.

რაიონში 1 მეურნეობაზე საშუალოდ მოდის სხვადასხვა სახის პირუტყვი:

სულ მსხვილფეხა საქონელი	2,7	თავი
მათ შორის მუშა საქ.	0,6	„
ძროხა	0,8	„
წვრილფეხა საქ.	0,1	„
ფრინველი	18	ცალი

მეურნეობათა პროც.

საქონლით (ყველა სახის)	94,2
მხოლოდ ძროხით	91,2
ფრინველით	90,0
ღორით	35,0

როგორც ვხედავთ, მეცხოველეობის დარგში შესაძლებელია ბევრი რამ გაკეთდეს, რომ რაიონს მიწის სიმცირე არ აწუხებდეს განსაკუთრებით ეს ითქმის რაიონის მაღალი ზონის სოფლებზე, სადაც მეცხოველეობის განვითარებას ძლიერ უშლის ხელს საკვები ბაზის უქონლობა. ის მცირე მიწა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო მეცხოველეობის საკვებ ბაზად, გამოყენებულია ნაწილი ჩაის კულტურის ქვეშ, ხოლო სადაც ჩაი ვერ ხეირობს, იქ სიმინდი ითესება, რომელიც ძალზე მცირე მოსავალს იძლევა, პირუტყვს კი არ აქვს საკმაო საკვები ბაზა როგორც ვხედავთ, კოლხიდის დაბლობის ამოშრობისაგან ბევრად არის დამოკიდებული რაიონის წინსვლის საკითხები და არა მარტო რაიონის, არამედ რესპუბლიკისა და საკავშირო მნიშვნელობის საკითხებიც, როგორიც არის მაგ., რამის კულტურის განვითარება დასავლეთ საქართველოში რამის ბაზად ითვლება სენაკის რაიონი. აქ რამის 2 მეურნეობა გვაქვს, ერთი რამის საკავშირო მნიშვნელობის საცდელ სანიმუშო სადგური, 1 სადემონსტრაციო ქარხანა; გარდა საბჭოთა მეურნეობებისა, რამი გავრცელებულია საკოლმეურნეო ფართობზე, ის დათესილია რამოდენიმე ასეულ ჰექტარზე.

კოლხიდის დაბლობის ამოშრობა რამის საკითხს საბოლოოდ გადასჭრის დადებითად და გაუშლის მას ფართო პერსპექტივას.

ამნაირად კოლხიდის დაბლობის ამოშრობის ჩქარა დამთავრებას შეუძლია მოგვცეს:

ა) გამოსაყენებელი ნოყიერი ფართობის საგრძნობი ზრდა.

ბ) ამ ფართობზე სოციალისტური ტიპის საწარმოთა გაშლა და ფართობების მთლიანად ათვისება.

გ) რაიონის მაღალ ზონის მეცხოველეობის, ისე როგორც დაბალი ზონის საკვები ბაზით უზრუნველყოფა და მით მეცხოველეობის საქმის გაუმჯობესება.

დ) სუბტროპიკული მეურნეობის ფართოდ წარმოებისა და ამ კულტურების მეურნეობის გეგმიანი წარმართვის შესაძლებლობა.

ე) განვითარება ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკულ ხილეულების კულტურების, რომელთა კვებითი და დიეტური მნიშვნელობა ყველასათვის თვალსაჩინოა.

ვ) მოსპობა მალარიის — ადამიანის ამ საშინელ სენის, და ვებერთელა ჯანსაღ ტერიტორიაზე მოსახლეობის დასახლების შესაძლებლობა.

ზ) იაფ-ფასიანი წყლის ტრანსპორტის შექმნა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი იქნება.

თ) რაიონის ინდუსტრიალიზაციისათვის ხელისშეწყობა სახ. სამ. პროდუქტების გადამუშავების ბაზაზე, რომლისათვის მთლიანად იქნება გამოყენებული ჰიდროენერგეტიული რესურსები (აბაშა, რიონი და სხვ).

როგორც ვხედავთ, კოლხიდის დაბლობის ამოშრობა, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში სენაკის რაიონსაც სოციალისტური მშენებლობის დიდ ბაზად აქცევს. ეს კი გვავალებს გამახვილებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენს უბანში კოლხიდის ამოშრობის საწარმოო დავალებათა გეგმაშეწონილ და ბოლშევიკურ განხორციელებაზე.

სენაკის რაიონში კოლხიდის დაბლობის ფართობი მოქცეულია მდ. რიონის, ტეხურის და ცივას მიდამოებში, წარმოადგენს ნახევარ კუნძულს, დასახლებულია მხოლოდ ნაწილი ვ. ნოსირის, აბ. სოფლის, თეკლათის და ჭალადიდის საბჭოები მთლიანად მოქცეულია ამ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ჭალადიდის მოსახლეობა ამ დაბლობის შუა გულშია მოქცეული ვებერთელა ტერიტორია ძირითადად დაფარულია ტყით, ჭაობით, მცირე ნაწილი კი გამოყენებულია მოსახლეობის მიერ დასახლებელ ადგილად, სახნავად და სათიბად.

როგორც აღვნიშნეთ კოლხიდის დაბლობის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ჩვენს რაიონში, შეადგენს 12.000 ჰექტარს. ამ ტერიტორიის საერთო სივრციდან უჭირავს:

კარმიდამოს	4,4	პროც.
სახნავს	22,2	„
ბაღ-ბოსტანს	0,3	„
სათიბს	0,14	„
საძოვარს	2,6	„
ჭაობებს (ტყით)	68,1	„
დანარჩენი უვარგისი	0,25	„

ეს მეტად ძვირფასი ტერიტორია ნახევარზე მეტი სრულიად გამოუყენებელია და კოლხიდის დაბლობის ამოშრობის პრობლემა სწორედ მიმართულია ამ გამოუყენებელი ფართობის სრული გამოყენებისაკენ, რაც დიდად შეუწყობს ხელს რაიონის ეკონომიურად დაწინაურების საქმეს.

გასული წლის 1 დეკემბრის „პრავდაში" ამხ. ბერია სწერდა: ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები შესძლებენ გაამართლონ ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას აქცევს ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. სტალინი; ჩაის, ციტრუსოვანა ნარგავების და მთელ რიგ სხვა სპეციალური და ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია იმ სამუშაოთა წარმატებაზე, რომელიც ვითარდება ამჟამად ე. წ. კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად. მდ. რიონის ნაპირებზე, ფოთის ნესტიანი სუბტროპიკების რაიონში 200 ათასზე მეტი ჰექტ. ამოსაშრობი ჭაობი შეადგენს მომავალში იმ მასივს, რომელზედაც ფართოდ განვითარდება ჩაი, მანდარინა, ლიმონი და სხვა".

სენაკის რაიონის ბოლშევიკებმა დროზე გარდაქმნეს მუშაობა იმ მხრივ, რომ კოლხიდმშენის სამუშაოების გეგმობრივი დავალებათა შესრულება მოქცეულიყო რაიონის მთავარ და ძირითად ამოცანათა შორის.

თვალსაჩინო ყურადღება მიექცა აქ პარტმასობრივი მუშაობის გაშლას, პარტიულ ძალთა სწორ განაწილებას, კანცელარიიდან საწარმოო უბნებზე კომუნისტების გადასროლას, მანქანებზე და ბრიგადებში ენერგიული კომუნისტების გაგზავნას და მათ ირგვლივ მთელი საპასუხისმგებლო სამუშაოთა თავმოყრას; გაძლიერდა მუშაობა უპარტიო დამკვრელ მუშებს შორის, სპეციალისტებს შორის, რის საფუძველზე პარტიულ კომიტეტთან ჩამოყალიბდა თანამგრძნობთა ჯგუფი; თანამგრძნობთა ჯგუფის წევრებმა თვალსაჩინოდ წაიწიეს წინ დაკისრებულ დავალებათა დროულად და ხარისხობრივად შესრულების საქმე (ვალიანსკი, გვაზავა, გოგია) პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ამხ. ჯოჯუა) ფართოდ დააყენა მუშაობა პარტიულ მასაში, აამაღლა პარტიის წევრ-კანდიდატების პ.-მებრძოლის გრძნობა, გააძლიერა შესრულების შემოწმება და კონტროლი, მაღალ დონეზე დააყენა პარტიული სწავლების საქმე, განამტკიცა ცალკე საწარმოო უბნებზე, მანქანებზე და ბრიგადებში ოპერატიულ - კონკრეტული ხელმძღვანელობა და დაამყარა მტკიცე დისციპლინა.

გაძლიერდა მუშაობა პროფხაზითაც (მუშკომის თავ-რე ამხ. ქ. ჯვართავა) მეორე კვარტალში საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა 22 დამკვრელი და საუკეთესო მუშა, მე-3 კვარტალში—20 კაცი. ზოგიერთმა საუკეთესო მუშაკებმა კოლხიდმშენის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს. მაგ.: მუშები კოკოზოვი და ტიმანიანი ყოველ სამუშაო სეზონში 1000 კბმ მიწის სამუშაოებს ასრულებდენ ხელით.

დამკვრელურ მუშაობას იჩენენ მექანიზაციის ხაზით მომუშავენი კვარაცხელია, კიპურჯაძე, ცხომარია, და გრიგოლია, რომლებიც დაკისრებულ დავალებას სისტემატიურად გადაჭარბებით და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ასრულებენ.

სენაკის რაიონის მოსახლეობა საკმაოდ ჩაბმულია კოლხიდმშენის ამოშრობის საქმეში, მუშებიც, რომლებიც აქ ჩამოდიან სხვადასხვა რაიონებიდან, დიდ ენერგიას იჩენენ ჭაობის ამოშრობის საქმეში და პირნათლად ასრულებენ დავალებებს. ხშირად ისინი ყოველდღიურად ჩამოდიან კოლხიდის სამუშაოებზე, რაც საწარმოო უბნის (სამუშაოთა უფროსი ამხ. პანტე გაბუნიას ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

მუშაობის ამგვარი გაშლის შედეგად 1934 წლის განმავლობაში გეგმები კვარტალების მიხედვით ზედიზედ გადაჭარბებით სრულდებოდა.

საერთოდ სამივე კვარტალის გეგმა 108,9 პროც. შესრულდა.

ჩამორჩა მექანიზაციის დარგი, რომელმაც გეგმობრივი დავალება 59,9 პროც. შეასრულა, რაც აიხსნება მანქანების არასაკმაო რაოდენობით, საწვავი მასალის სიმცირით, საკმაო რაოდენობის ტრანსპორტის უქონლობით და ხშირად ქონებული მანქანების რემონტის გაჭიანურებით. მიუხედავად ამისა, სამუშაოების ხელით შესრულებით, უბანი გეგმობრივ მონაცემებს მთლიანად შესრულებას მაინც აღწევდა.

კოლხიდმშენის სენაკის საწარმოო უბანმა ოქტომბერ-ნოემბერში მუშაობა გააძლიერა მე-3 კვარტალთან შედარებით. ამას ხელი შეუწყო მუშათა რიცხვის გადიდებამ და მექანიზაციის უფრო მაღალ დონეზე დაყენებამ, ამჟამად უბანში 7 ექსკავატორი მუშაობს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და სოფლის საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოლხიდმშენის სამუშაოებს, სისტემატიურად აწვდიან მას მუშა ხელს, ტრანსპორტს და სხვ. რაც უსათუოდ დიდად უწყობს ხელს კოლხიდმშენის მეოთხე კვარტალის გეგმობრივ დავალებათა შესრულების საქმეს. მეოთხე კვარტალი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოების შესრულებას (კუბომეტრებში):

	სულ კვარტალში	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
მექანიზაციით	105.000	16.095	40.000	47.905
ხელით	50.000	1.229	13.771	36.000
აფეთქებით	28.000	1.607	14.000	12.393
სულ	182.000	18.931	67.771	96.298

როგორც ვხედავთ, მე-4 კვარტალშიც მექანიზაციის საშუალებით სამუშაოთა შესრულება ძირითადია სამუშაოთა შესრულების ყველა სახეთა შორის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაოთა უფროსმა, პარტიულმა კომიტეტმა და ყველა სხვა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მანქანებზე სწორი კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა, გაშალონ ფართოდ მასობრივი პოლიტიკური მუშაობა ბრიგადებში, უზრუნველყონ საწვავი მასალით, მოაგვარონ მუშათა კვების და საყოფაცხოვრებო საკითხები და მეოთხე კვარტალის გეგმობრივი დავალებანი გადაჭარბებით შეასრულონ, რაც შეეხება ხელით შესასრულებელ სამუშაოებს, აქ მდგომარეობა უკეთესი გვაქვს: მუშა ხელის საკმაო რაოდენობა გვყავს. გეგმების შესრულებაში გარღვევა ჩვენ არ გვექნება, არც ხელით და არც აფეთქებათა საშუალებით საწარმო სამუშაოებში. მიუხედავად ამისა მეოთხე კვარტალის გეგმა მაინც დაჭიმულია წარსულ კვარტალებთან შედარებით ეს კი მოითხოვს ენერგიის დაძაბვას, პარტიული საბჭოთა და პროფორგანიზაციების ყურადღების ერთობ გამახვილებას გეგმების შესრულებაზე.

მიმდინარე წლის ამოშრობილ ფართობიდან სენაკის რაიონს გადაეცემა 5.000 ჰექტ. მიწა, მაშასადამე, ჩვენი რაიონის მშრომელი გლეხობა, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი შეიმატებენ 5 ათას ჰექტ. ახალი, ნოყიერი და მდიდარ მოსავლიან მიწას, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ავითვისოთ ეს ფართობი მთლიანად და გამოვიყენოთ ის რაციონალურად. უნდა შევებრძოლოთ ამოშრობილ ფართობის უგეგმოდ გამოყენების ცდებს.

უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ახლად გადმოცემული ჰექტარები ავითვისოთ მთლიანად, განვავითაროთ აქ სოციალისტური მეურნეობა, კოლხიდა გადავაქციოთ სუბტროპიკულ და ციტრუსოვან ნარგავთა წალკოტად.

სენაკის რაიონის ბოლშევიკები ამ ამოცანას ღირსეულად შეასრულებენ.

ან. კელინჯერიძე

წლიური შედეგების შეჯამებისათვის საგზაო მშენებლობაში

საგზაო მშენებლობის სეზონი მთავრდება. დადგა გადამწყვეტი მომენტი, როდესაც უნდა შევაჯამოთ რესპუბლიკაში უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო სოცშეჯიბრების მეორე ტურის შედეგები და გამოვარკვიოთ ჩვენი მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში.

ჩვენ მოგვეპოვება ცნობები რესპუბლიკაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ საგზაო სამუშაოების შესახებ 1 ნოემბრისათვის. ამ ცნობებიდან ჩანს რომ მთელმა რიგმა რაიონმა უკვე შეასრულა საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა და შეგვიძლია შევაჯამოთ წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა.

პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ უკვე გადადგმულია. რესპუბლიკურმა შტაბმა გამოიტანა სპეციალური დადგენილება სამუშაოების მიღებისა და შეჯიბრების წლიური შედეგების შეჯამების შესახებ.

ახლა მთავარია ამ დადგენილების ცხოვრებაში ზუსტად გატარება იმ ანგარიშით, რომ საგზაო მშენებლობის ხაზით ჩატარებულ სამუშაოთა არც ერთი ობიექტი არ დარჩეს აღურიცხავი, გარკვეულ იქნეს თუ სად და როგორ იხარჯება მოსახლეობის შრომითი რესურსები და ყველა ამისათვის სათანადო ანალიზის გაკეთებით ცალკე რაიონს მიეჩინოთ თავისი ადგილი.

ხოლო რათა ეს შესაძლებელი გახდეს, რათა გამორკვეულ იქნეს საგზაო მშენებლობის ნამდვილი სურათი, ამისათვის საჭიროა ფრიად დეტალური, კრიტიკული ანალიზი ამ ცნობებისა, რომელსაც რაიონების საგზაო განყოფილებები იძლევა.

ცხადია, ამ ცნობებზე მთლიანად დაყრდნობა და მისი საბოლოო სახელმძღვანელო მასალად მიღება შეუძლებელია.

ავიღოთ მაგალითად 1 ნოემბრისათვის მიღებული ცნობები საქართველოში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ საგზაო სამუშაოების შესახებ.

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ რესპუბლიკაში შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა შესრულებულია 98,5 პროცენტით, ახალი გზების მშენებლობის — 139,55 პროც. და არსებულ გზების რემონტისა — 92,5 პროც., გეგმები შესრულებული აქვთ: სამხრეთ-ოსეთის (127,4 პროც.), გურჯაანის (145,6 პროც.), ხევის (109,9 პროც.), ტელავის (118 პროც.), ახალციხის (145,8 პროც.), ბორჯომის (116,8 პროც.), ჭიათურის (110 პროც.), ხარაგოულის (107,7 პროც.), ბაღდათის (148,8 პროც.), ზესტაფონის (142,6 პროც.), ჩხარის (148,2 პრ.), ქუთაისის (124,8 პროც.), ვანის (119,2 პრ.), სამტრედიის (162,4 პროც.), ხონის (108 პროც.), ცაგერის (117,2 პროც.), ენუქიძის (203,6 პროც.), ონის (229,9), მარტვილის (124,4), აბაშის (144,8), ახალსენაკის (132,9), ლანჩხუთის (148,1), მახარაძის (136,6), რაიონებს.

ჩამორჩენილი რაიონებია: თიანეთის (44,7 პროც.), დუშეთის (42,6), ბორჩალოს (64), ბაშკიჩეთის (22,7), წალკის (47,4), ბოგდანოვკის (46,5) ადიგენის (55,5), სტალინისის (67,2), გორის (66,3), ზემო-სვანეთის (50,8), ზუგდიდის (58,8), ხობის (58,8), ჩხოროწყუს (54,4), წალენჯიხის (66,6) და აფხაზეთი (86,8).

დანარჩენ რაიონებში გეგმის შესრულება მერყეობს 70—90 პროცენტამდე.

როგორც ვხედავთ, ჩამორჩებიან უმთავრესად ქართლის, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამეგრელოს რაიონები.

სამუშაოების მიღების და შეჯიბრების შედეგების შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილ რაიონებს. საქმე ისაა, რომ მოწინავე რაიონთა შორის მოქცეულნი არიან ენუქიძის და ონის რაიონები, რომლებიც ოფიციალური ცნობების თანახმად მოწინავენი არიან მოწინავეთა შორის: იქ გეგმის შესრულება 200 პროცენტს აჭარბებს. მაგრამ ეს ცნობები ეჭვს იწვევს. ამ შემთხვევაში ორ მომენტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი: ან რაიონი გვატყუებს თვალს, ან მიცემული დავალება არარეალურია; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისევ რაიონებია დამნაშავე, რადგან მათ თავის დროზე არ აღრიცხეს თავიანთი რესურსები და პროცენტების გაბერვის მიზნით, განზრახ შეამცირეს შესაძლებლობანი, რითაც შეცდომაში შეიყვანეს მეგეგმავე ორგანოები. ასე რომ, იმ რაიონებს, რომლებიც გეგმის შესრულების არაჩვეულებრივად დიდ პროცენტებს იძლევიან, განსაკუთრებული კრიტიკული თვალით უნდა მივუდგეთ.

ჩამორჩენილი რაიონების შესწავლისას მთავარია გამოვარკვიოთ მათი ჩამორჩენილობის მიზეზები, მივცეთ მისი ღრმა ანალიზი, რათა შესაძლებელი გახდეს პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა შემდგომი მუშაობის გაცხოველებისათვის. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია თვითეულ რაიონისადმი განსაკუთრებული მიდგომა. მაგალითად, ოფიციალური ცნობა 1 ნოემბრისათვის ჩვენ გვეუბნება, რომ სამეგრელოს ყველა რაიონი ჩამორჩება, თითქოს ყველა რაიონი ერთი შეფასების ქვეშ ექცევა, რაც არ არის სწორი. მაგალითად წალენჯიხის რაიონს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავაყენებთ ზუგდიდის და სხვების გვერდით. წალენჯიხის რაიონს, რომლის მუშაობის მასშტაბი, შესრულებულ სამუშაოების ფიზიკური მოცულობა, ხასიათი და ხარისხი, არ ჩამოუვარდება მოწინავე რაიონებსაც კი, მიჩნეული უნდა ჰქონდეს შესაფერი ადგილი. შეუძლებელია იგი გაუთანასწოროთ ზუგდიდს, სადაც გზებს მხოლოდ კეთილი სურვილებით, და კარგი რეზოლუციებით „აშენებენ", ხოლო პრაქტიკულად კი ბევრი არაფერი კეთდება.

სამუშაოების მიმღებმა კომისიებმა განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა გამოარკვიონ დახარჯული შრომითი რესურსები და შესრულებულ სამუშაოების ფიზიკური მოცულობა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, დანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული მოსახლეობის შრომა თუ არა.

ამგვარად, მთავარია არა პროცენტები, არამედ შესრულებულ სამუშაოების ფიზიკური მოცულობა და განსაკუთრებით ხარისხი. ცუდი ხარისხით შესრულებული სამუშაო არ უნდა იქნეს მიღებული.

დღეს საგზაო მშენებლობის საკითხი პრინციპიალურად დგას. ჩვენ ვერ დავუშვებთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც რაიონების მუშაობის შეფასების საზომად ძირითადად შრომითი მონაწილეობის გეგმების შესრულების პროცენტი ითვლებოდა. მთავარი დღეს ამ შრომის შედეგად მიღებული ეფექტის ხარისხია. ადგილობრივ საგზაო ორგანოებს უნდა ვასწავლოთ მოსახლეობის შრომითი რესურსებისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომა, რომ არც ერთი მუშა-დღე და საპაიკე-დღე, დანიშნული საგზაო მშენებლობისათვის, არ იხარჯებოდეს უნაყოფოდ, არამედ გვაძლევდეს სასურველ ეფექტს კულტურული გზების მშენებლობაში.

ასეთი თვალსაზრისით უნდა [illegible] მიმღები კომისიები ცალკე რაიონის მიერ ჩატარებული მუშაობის შეფასების დროს და იხელმძღვანელონ იმ მითითებებით, რომელსაც პარტია და ხელისუფლება იძლევა.

საგზაო მშენებლობის შედეგების შეჯამება

საქართველოს ცაკ-თან არსებულ უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლმა რესპუბლიკურმა შტაბმა გამოიტანა დადგენილება „მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ საგზაო სამუშაოების მიღებისა და რესპუბლიკის მასშტაბით სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამების შესახებ".

დადგენილების თანახმად მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს 6 დეკემბრისათვის, განურჩევლად იმისა რაიონმა შეასრულა შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა, თუ არა. იმ რაიონებს, რომლებსაც არ შეუსრულებიათ ეს გეგმა და საშუალება აქვთ კიდევ იმუშაონ, შეუძლიათ მუშაობა განაგრძონ და დამატებითი ცნობები რესპუბლიკურ შტაბს წარუდგინონ 1 იანვრისათვის.

სამუშაოების მისაღებად საქგზატრანსის აპარატიდან მობილიზებულია 15 ინჟინერი, რომლებიც განაწილებული არიან რაიონების მიხედვით და მოაწყობენ სამუშაოების მიღებას და სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმებას ადგილობრივი შტაბების ხელმძღვანელობით.

სამუშაოების მიღებაში აქტიურად უნდა ჩაებან სასოფლო საბჭოები და მათთან არსებული საგზაო სექციები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დამთავრებული სამუშაოების სოფლებისა და კოლმეურნეობებისათვის ჩაბარება, მათი შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით.

შემოწმება შეეხება აგრეთვე ყველა ორგანიზაციას, რომლებიც თავის მუშაობის ხასიათით მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ საგზაო მშენებლობას (კომკავშირი, ავტოგზის საზოგადოება, პროფკავშირი, პრესა და სხვ.).

წლიური შედეგების დაჯამების საბოლოო ვადაა 10 დეკემბერი, როდესაც მთელი მასალა უნდა გადაეგზავნოს სოცშეჯიბრების საკავშირო შტაბს.

სერიოზული ყურადღება რეზერვების მობილიზაციას

რედაქციისაგან

ქ. მოსკოვში, სექტემბერში ჩატარებულ მძიმე მრეწველობის სამეურნეო, პარტიულ მუშაკთა და სპეციალისტების საკავშირო თათბირზე ამხ. ს. ორჯონიკიძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება წარმოებათა რეზერვების მობილიზაციის საკითხზე, რომელსაც სერიოზული სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

მას შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა. მრეწველობის, პარტიულ მუშაკთა და სპეციალისტთა მიერ ამ მიმართულებით გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ დღემდე ჩვენს გაზეთში ის ნაკლებად შუქდება. საჭიროა მრეწველობის დარგის მუშაკებმა, წარმოებათა დირექტორებმა, პარტხელმძღვანელებმა, საამქროს გამგეებმა და ინჟინრებმა მოგვაწოდონ წერილები ჩატარებულ მუშაობაზე.

ტყიბულელებო, თქვენ რეზერვები გაქვთ!

(ტყიბული, საქ. კორესპონდენტისაგან).

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირზე თქვა: „ჯერ კიდევ ვერ შევძელით ყველა ჩვენი რესურსის გამოყენება. ჩვენ, რომ ჯეროვნად მოგვეხდინა ჩვენი რიგების მობილიზაცია, სახელმწიფოს მივცემდით გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ახლა ვაძლევთ". ამხ. სერგოს ეს სიტყვები ღრმააზროვანი ანალიზია ყველა ჩამორჩენილი ფაბრიკა-ქარხნის და მაღაროს მდგომარეობის. სადაც გეგმა არ სრულდება, იქ არ არის გამოყენებული რეზერვები.

ტყიბულის მაღაროებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება რესურსების გამოყენებას, თუმცა ასეთი რესურსები არის და შესაძლებელიცაა გეგმის შესრულების უზრუნველყოფა. უკანასკნელად ჩატარებულმა მრეწველობის მუშაკთა თათბირმა ტყიბულში ვერ პოვა სათანადო გამოხმაურება. აქაური მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ იცნობს აღნიშნული თათბირის მიმართვას და ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვას ამ თათბირზე. ამაში ბრალი მიუძღვის როგორც პარტიულ, ისე პროფესიულ ორგანიზაციებს: მათ დღემდე კიდევ არ გაუცნობიათ მუშებისათვის მრეწველობის მუშაკთა თათბირის მასალები და, რაც მთავარია, სერიოზულად არ მოუკიდიათ ხელი მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

დავიწყოთ ფაქტებიდან: სტალინის სახელობის უბნის მუშაკებს რომ კითხოთ, რატომ ვერ ასრულებთ გეგმასო, მაშინვე დაიწყებენ წუწუნს იმის შესახებ, რომ ვაგონეტკები არ გვყოფნის, რელსები არ გვაქვს, მუშა-ხელი არ გვყავსო და სხვ. ამასვე მოისმენთ ლენინის სახელობის უბანშიც. განა მართლა არ არის რელსები და ვაგონეტები? არ დაუჯეროთ! ყველაფერი არის, მაგრამ არ არიან ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ გაიგონ ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა, რომ „ჩვენი მოვალეობაა არა მარტო „ხელი არ შეუშალოთ" ამ მანქანების კარგ მუშაობას, არამედ აგრეთვე ბოლშევიკურად მოვაწყოთ მათი მოვლა და სწორი ექსპლოატაცია".

სტალინის უბანში ვაგონებს არ უვლიან: ამტვრევენ და აფუჭებენ მათ, ხოლო შემდეგ, ვაგონების ნაკლებობის შესახებ გაჰკივიან. 15 ნოემბერს, სარჩევიდან სატვირთავამდე ბაგირზე გაუშვეს მოუბმელი ვაგონები. ამან გამოიწვია 6 ვაგონის დამტვრევა და 1 ცვლის 3 საათით მოცდენა. ვაგონების მიმბმელ ჭარდახანიძეს კი ამისათვის „ცუდი სიტყვაც" არ აკადრეს.

ამავე უბანში ნახევარ ტონიანი ვაგონების „დიდი ნაკლებობაა", ხოლო 3 წლის წინად მიღებული ასეთი ვაგონები დღემდე გაუშვებელი ეყარა ღია ცის ქვეშ და იჟანგებოდა.

ლენინის უბანში 60-მდე ვაგონია „გამოსული" მწყობრიდან. აქედან შეიძლება შეკეთდეს და გაიშვას 40 ვაგონი მაინც, მაგრამ ამისათვის ზომებს არავინ იღებს, ამბობენ, „ახლა, ამ წუთში ისინი მაინც დამაინც დიდათ არ გვესაჭიროება", მაგრამ იმის მოსაზრება არა აქვთ, რომ ახლო ხანში დასჭირდებათ ვაგონების დიდი რაოდენობა ნახშირის ელექტრომავლებით გამოზიდვაზე გადასვლის გამო, ხოლო მანამდე ეს ვაგონები ან გაიძარცვება ან და სრულიად დაიმტვრევა.

ტყიბულში ჩვეულებად გადაიქცა ყოველი ახალი მანქანის, ვაგონის, ბაგირის და სხვ., ცის ქვეშ დაყრა. ერთი წლის წინად, როგორც ლენინის, ისე სტალინის უბანში გადმოტვირთეს სარჩევის ახალი მანქანები. ისინი ახარისხებენ ნახშირს და, რაც მთავარია, უფრო სწრაფად მუშაობენ, ვინემ დღევანდელი პრიმიტიული მანქანები. გადმოტვირთვის დღიდანვე ცის ქვეშ დაყარეს და დღემდე ამ მდგომარეობაში არიან. სანამ ისინი ახლები იყვნენ, მართლაც მანქანებს გავდნენ, დღეს კი დაჟანგებული და დამტვრეული ყრიან და მანქანის ნიშან-წყალიც აღარ აქვთ. ხშირად ბრიგადები უმოქმედოდ დგანან იმის გამო, რომ სარჩევი ნახშირს ვერ ღებულობს; იგი აგებულია 100—150 ტონისათვის დღეში. ახალი ამოღება თვითეულ უბანში 400—500 ტონას აღწევს და, ცხადია, სარჩევი ვერ ასდის ამდენ ნახშირს. ამ დროს კი მანქანები, რომელთაც შეუძლიათ გაცილებით უკეთესად დააყენონ ნახშირის მიღება, გარეთ ყრია და ფუჭდება. აი, მუშაობაც ამას ქვიან. შიგ ბრიგადებს აცდენენ, ხოლო გარეთ მანქანებს აფუჭებენ!

ასეთივე მდგომარეობაა ბაგირის შენახვის მხრივაც. ბაგირი არ არის აბუჩად ასაგდები. მრავალ ადგილას სამუშაოები შეჩერებულია ბაგირის უქონლობის გამო. ტყიბულში კი ეს ძვირფასი რეზერვი უყურადღებოდ არის: ბაგირები გარეთ ყრია, იჟანგება და ფუჭდება; მაგ., სტალინის უბანში 800 მეტრი ბაგირი უკვე თითქმის წამხდარია, რადგანაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოუვლელი იყო. ასეთი მდგომარეობაა ლენინის უბანშიც.

ბრიგადები სისტემატიურად ცდებიან. მაგ., მესხარაძის ბრიგადა ყოველდღიურად საათნახევარს აცდენს. ე. იობიძის ბრიგადა ორ საათს და სხვ., რას ასახელებენ ისინი მიზეზად? ხან სარჩევი ვერ ღებულობს ნახშირს, ხან რკინიგზა ცუდად არის დაგებული და სხვ., ესტატე ობოლაძე კი აცხადებს: „ჩემ სამუშაოებზე დინამიტები არ ფეთქდება, 6-დან უკეთეს შემთხვევაში 3 ან 4 თუ აფეთქდება, ეს ძალზე გვაცდენს, რადგან აფეთქების შემდეგ განიავებას უნდა ვუყუროთ და დანარჩენები შემდეგ უნდა ავაფეთქოთ. ცუდია „კაპსული", არ ფეთქდება". რატომ მისცეს ბრიგადებს ცუდი „კაპსული"? ამის შესახებ უბნის მთავარი ინჟინერი ამხ. კაპანაძე აცხადებს: „ტრესტმა გამოგვიგზავნა და დაგვავალა, აუცილებლად მიგვეღო, ხოლო როდესაც უარი განვაცხადეთ, გვიპასუხა: ჩვენ გამოგიგზავნეთ და თქვენ უნდა მიიღოთო".

აი, სწორი და „ლოგიკური" მსჯელობა! განა, არ შეიძლებოდა ცუდი და უვარგისი „კაპსულების" უკან დაბრუნება? მაგრამ ტრესტი ამას როგორ იზამდა!..

სტალინის უბანს აკლია რელსები იმ დროს, როდესაც ამავე უბნის ღელეებში, რამდენიც გინდათ, იმდენს იპოვნით. მაგრამ მას ხომ ადგილზე მიტანა უნდა! ეს კი ადგილობრივ მუშაკებს ძალზე ეზარებათ.

აქვე უნდა შევჩერდეთ ელექტროენერგიის საკითხზე. მაღაროების ელსადგური მოძველდა, ხოლო ძველი მანქანები ხშირად განიცდიან ავარიებს. ესეც არ იყოს, სადგური ვეღარ აკმაყოფილებს მაღაროების გაზრდილ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. ამიტომ ორი წლის წინათ დაიწყეს რიონჰესი-ტყიბულის გადამცემი ხაზის მშენებლობა. უკანასკნელ დრომდე ქვესადგურზე მუშაობდნენ, ხოლო დაივიწყეს ის, რაც მთავარი იყო და არის — გადამცემი ხაზი.

ტყიბულის ბოლშევიკებმა საბრძოლო პროგრამად უნდა გაიხადონ ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვები: „ჩვენ უნდა მოვახდინოთ ყველა, ჩვენ ხელთარსებული სახსრების, ადამიანთა ძალების, ყველა ჩვენი მექანიზმის, ყველა აგრეგატის მობილიზაცია და ვაიძულოთ ისინი იმუშაონ სრული დატვირთვით".

ბ. მერკვილაძე.

ჩამორჩენა კვლავ გრძელდება

ქუთაისის ძაფსალების ფაბრიკამ ნახევარი წლის საწარმოო გეგმა ვერ შეასრულა. წარმოებამ ვერც მე-3 კვარტალში გამოასწორა მდგომარეობა. ასე, მაგ. გეგმით უნდა ამოეღოთ 12.900 ქ. გრ. ძაფი, ფაქტიურად ამოიღეს 9250 ქ. გრ. (გეგმის 71,7 პროც.). ფაბრიკამ ვერც ოქტომბერში შესძლო გეგმის შესრულება: უნდა ამოეღო 4125 კგრ. ფაქტიურად ამოიღო 3645 კგრ. (გეგმის 88,4 პროც.).

რა არის ასეთი გარღვევების მთავარი მიზეზი?

პირველყოვლისა მუშა-ხელის დანაკლისი. გეგმით ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს 600 კაცი, ნამდვილად კი ამ ბოლო 10 თვეს მხოლოდ 466 კაცი მუშაობდა.

მესამე კვარტალში სამუშაოზე მიიღეს 138 მუშა, ხოლო წარმოებიდან წავიდა 247 კაცი.

ფაბრიკაში პროდუქციის თვითღირებულების ზრდა უკანასკნელ სამ კვარტალში უდრის 6,8 პროც. სწორად არ ტარდება ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითება, საკმაოდ მზრუნველობას არ იჩენენ მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად; სასადილო ვერ აკმაყოფილებს მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებს; ცუდია სადილების ხარისხი; მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობა მუშათა მომარაგებაზე თავს ნაკლებად იწუხებს; მუშები თავის დროზე ვერ ღებულობენ ნორმირებულ საქონელს და სხვ.

ფაბრიკას აქვს მუშებისათვის ბინები, მაგრამ მას ბევრი რამ აკლია, მოუწყობელია, წესრიგი დაცული არ არის და სხვ. კომენდანტი ამას ყურადღებას არ აქცევს. მოუგვარებელია აგრეთვე ტრანსპორტის საკითხი, გარეუბანში მცხოვრებ მუშებს 4—5 კილომეტრიდან უხდებათ სიარული. ეს იწვევს ხშირ დაგვიანებებს და გაცდენებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოებაში ირღვევა შრომის კანონები, მუშაობა ზედმეტ საათებში წარმოებს. ამ მდგომარეობას შრომის დაცვის ორგანიზაცია—ფაბკომი გულდამშვიდებით უყურებს და არავითარ რეალურ ზომებს არ ღებულობს მის გამოსასწორებლად.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ჩვეულებად დაისახა გეგმის შესრულება ზედმეტი საათების მუშაობის ხარჯზე, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

შრომის კანონების სწორად გატარება, რეზერვების მობილიზაცია, მუშაობის არსებითად გარდაქმნა არსებულ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორება, ტეხმინიმუმის აუცილებელი გატარება—აი რას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ალ. შარვაძე.



საბჭოთა სახალინი. ნავთის საბურღების საერთო ხედი.

ნიკ. ტიხონოვი

როს გავშორდები

როს გავშორდები, — დიდი წელში მთლად მოიხრება,
მაგრამ [illegible] და მოუსმენს სიტყვას ჩქერიანს;
თუმცა მიხვედრა მოხუცისთვის ძნელი იქნება,
რასაც კი ჩემზე მოუთხრობენ, ან იმღერიან.

მას თითებიდან ლიბი ნემსი გაუვარდება
და მის ლოყებზე [illegible] იჩენს სახის ლაქაში,
რადგან არასდეს უკან აღარ დაუბრუნდება,
ვინც თამაშობდა ოატაკზე, ერთხელ კალთაში.

გარდიგარდმო სანგრები

გარდიგარდმო სანგრებში
სწყდებიან ვარსკვლავენი, ალმასი ალმასს,
ალვისხის წალკოტში ფრთა მოტყდა ქარს;
შაშხანა, საბური და ჩანთა გვაქვს
და პური გირვანქა სამს.

შებურავს ბურუსი შეფითრებულ ზვარს
მეჭირვალე ბადეში და მტრედის ფრად;
მეოთხე წელია ღამეებს ვტეხთ...
ჯარისკაცს სიმშილი, სიცივე ჰკლავს,
მაგრამ ბრძანების ერთგულნი ვართ!

მახე და ფანდი წითელ მგელკაცებს!
შესერილი ხიშტი სიცოცხლეს იტაცებს.
გადატყდა კონდახი ლარტყეზით.
კისრებზე [illegible] ლიტა.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

და მკვდარი ვიდრემდე ემხობა ძირს,
გვამი წინ ერთის ნაბიჯს სდგამს;
განა ოდეს ყუმბარა უფლიდას სჭრის?
ჩვენ რატომ [illegible] თავს?

დავტოვეთ ბავშვები, ვის სჩივით ძეს?
თვალდახრილი, ფეხმოჭრილი, უბედური დღე,
დანგრეულ გზის იქით ქალაქი ძევს,
ნამდვილ პურს ვერ ნახავ, ვერც [illegible]!

ხოლო მთის გადაღმა მზე [illegible] —
დაე თუნდ [illegible] —
— „მოწყალე!" [illegible] როდესაც [illegible],
იგი ხმა გრიალზე მძლე არის უფრო!

და როცა ღრუბლებში ჩაგორდა [illegible],
ვით თვალი თევზისა, სხვა თევზის გამრთობი, —



სისხლიან ხიშტებზე, დამსხვრეულ წვეტებზე
გადმოდგა მზე!

ნაპირზე დელფინებს შეექმნათ თამაში,
ფირფატი არხევდა ცის ლაჟვარდს შორს
და მრეში გემები შებრუნდნენ ტალღაში
[illegible]

ხოლო ჩვენ მივწექით ქვებთან და ხმელ ძირას,
ველოდით ტკბილ სიზმარს, მყუდროს და გრძელს,
პირველად უსისხლოდ, პირველად [illegible]
პირველად მეოთხე წელს.

გვესიზმრა: თუნდაც რომ თან გვდიოდა [illegible]
ვიცოცხლოთ ისე და [illegible] —
ის ვეღარ ვიხილოთ, ვერც ვინმე სთქვას
[illegible] ლექსებით ასეთი ამბავი.

თარგ. სანდრო შანშიაშვილის.

ნიკ. ტიხონოვი არის საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანი, წერს პროზითაც. საკავშირო ყრილობაზე ამხ. ბუხარინთან ერთად თანამომხსენებლად გააკეთა საბჭოთა პოეზიაზე. ამჟამად იგი არჩეულია ლენინგრადის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ.

ალ. დუმბაძე

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა საბჭოების არჩევნებზე

საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისა და საწარმოო - საფინანსო გეგმების ვადამდე შესრულების მიზნით ტფილისის, ბათომის, ბორჯომის, სოხუმის, ქუთაისის და სხვა საქალაქო საბჭოებს და ცალკეულ საწარმოო დაწესებულებებს აღებული აქვთ კონკრეტული ვალდებულებანი საბჭოთა მე-7 ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობაში ჩაბმულია აჭარისტანის 71 კოლმეურნეობა, 212 საკოლმეურნეო ბრიგადა და 17 საბჭოთა მეურნეობა. ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მუშებმა აიღეს ვალდებულება წლიური გეგმის ზევით დაამზადონ 5,000 მეტრი მაღალი ხარისხის ქსოვილი და ამავე მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქუთაისის და ხონის აბრეშუმის ფაბრიკის მუშები და ა. შ.

მთელ რიგ რაიონებში საწარმოო ლაშქრობასთან დაკავშირებით ვადაზე ადრე სრულდება სახელმწიფო ვალდებულებანი: ზესტაფონის რაიონში ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 129 პროც., საგზაო მშენებლობა 182 პროც., მატყლის და ყველის დამზადება 100 პროც., და სხვ. სახელმწიფო ვალდებულებათა წლიური გეგმები შესრულებული აქვთ ვანის, ჩხარის, ჭიათურის და სხვა რაიონებს. ლანჩხუთის რაიონმა შეასრულა ვალდებულებები, უსახლო კოლმეურნეებისათვის აგებული იქნა სამასი ხის სახლი. საბჭოების საარჩევნო კამპანიამ გამოიწვია ერთპიროვნულ მეურნეთა თვალსაჩინო ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ. მარტო ზესტაფონის რაიონში 400-მა ინდივიდუალურმა მეურნემ შეიტანა განცხადება კოლმეურნეობაში მიღების შესახებ და სხვ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად საარჩევნო კამპანიას ახასიათებს მრავალი ნაკლი: საბჭოების საანგარიშო კამპანია საქართველოში დამთავრებულია. მრავალ რაიონში სასოფლო საბჭოების არჩევნებიც დამთავრდა. და აშკარად უნდა ითქვას, რომ საარჩევნო კამპანია ყველგან არ ტარდება დამაკმაყოფილებლად. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრების მცირე პროცენტი და არჩევნებში ქალთა მეტად სუსტი მონაწილეობა, მართალია, ზოგ რაიონში (მახარაძე, ლაგოდეხი, ლანჩხუთი და სხვა) საანგარიშო კრებებზე ქალების დასწრება 95 პროც. აღემატება, მაგრამ საერთოდ კი, როგორც ეს საანგარიშო კამპანიის წინასწარი შედეგებიდან ჩანს, საანგარიშო კრებებზე დასწრება უდრის მხოლოდ 78—80 პროცენტს. მაგალითად: დღემდე ჩატარებულ საარჩევნო კრებაზე ქალთა დასწრება საშუალოდ განისაზღვრება 71 პროც.

საარჩევნო კომისიები თავიდან არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლება — მოკლებულთა აღრიცხვის საქმეს. მთელ რიგ რაიონებში (ადიგენი, ტოლოში, ასპინძა, ბოგდანოვკა და სხვ.) ადგილი ჰქონდა საარჩევნო უფლება-მოკლებულ პირთა სიების დაგვიანებით გამოქვეყნებას და სხვათა ათასგვარ უხეშ დამახინჯებებს, სოფ. გორელოვკაში (ბოგდანოვკა) და პრიუტში (ალბულაღი) დღესაც არ იციან საარჩევნო კომისიებმა, არის თუ არა ამ სოფლებში საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირნი. ხონის რაიონის სასოფლო საარჩევნო კომისიებში არ შეუყვანიათ საბჭოთა მეურნეობის მუშების წარმომადგენლები.

ზოგიერთ რაიონებში (ზემო-სვანეთი, ზუგდიდი და სხვ) ყრუ-მუნჯები აღმოჩნდენ საარჩევნო უფლება მოკლებულთა სიაში. მარტვილის რაიონის ზოგიერთ სოფლებში საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მღვდლები. მანგლისის სასოფლო საბჭომ (ალბულაღი) საარჩევნო კომისიის გამოყოფის შემდეგ შესწყვიტა მუშაობა და მისი მოვალეობა დააკისრა [illegible] კომისიას და სხვა.

აღნიშნულია, რომ საბჭოების მომავალი მუშაობისათვის განწესების შედგენა-დამუშავებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, საანგარიშო კამპანიამ გამოამჟღავნა, რომ სასოფლო საბჭოების დიდ [illegible] (ყვარელი, ახალციხე, ახალქალაქი, ცაგერი, ენუქიძე, აბაშა და სხვა). არც კი აღმოაჩნდა ძველი განაწესები; ძველი განაწესების შემოწმების გარეშე ახალის შედგენა ხშირად ღებულობს ფორმალურ ხასიათს. მართალია, საბჭოებს გაცილებით იმაზე მეტი აქვს გაკეთებული, რაც ამ სამ-ოთხი წლის წინათ იყო გათვალისწინებული განწესში, მაგრამ განწესის გადასინჯვა მაინც საჭიროა.

უნდა გამოვიჩინოთ გაცილებით მეტი კლასობრივი სიფხიზლე. როგორც ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, „**ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა რომელიმე დაჯგუფებამ გაბედოს ცხვირის აშკარად გამოყოფა საბჭოების ახალი არჩევნების დროს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან მოვიგერიოთ მტრის ანტისაბჭოთა გამოლაშქრებანი, ვამხილოთ საბჭოებში უცხო და არასაიმედო ელემენტების გაძრომის ცდები, გადაჭრით უკუვაგდოთ ყოველგვარი ოპორტუნისტ ლიბერალური ფრაზები**" და სხვა, ცალკეული ფაქტები იმის შესახებ, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა არჩევნებს, ჩვენში საკმარისად არის: **ქვემო-ნიქოზის სასოფლო საბჭოს** (გორი) აქტიურ წევრს მოკვლის მიზნით თავს დაესხა ვიღაც ანტისაბჭოთა ელემენტი. ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოში (ქუთაისი) საანგარიშო კრების ჩაშლის მიზნით კულაკებმა ქვები დაუშინეს ლამპებს კრების დარბაზში, **სოფ. ზერბუქში** (ხაშური) საანგარიშო კრებაზე კულაკებმა ატეხეს განგაში. მოხისის საბჭოში საანგარიშო კამპანიის დროს გამომჟღავნებული ვიღაც კულაკის ოჯახის წევრები შეცვივდნენ მოწაფეების საარჩევნო დემონსტრაციაში და შეეცადნენ მათ გაფანტვას და პლაკატების დაგლეჯას...

ყოველივე ეს გვავალებს გაცილებით მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ უაღრესად საპასუხისმგებლო მასობრივ-პოლიტიკური საბჭოების საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

□ □ □

პატარა ფელეტონი

სატირალი

(ძღვნად ტელეგრაფის მუშაკებს)

კარგია, რომ გვყოლებს
არა ერთი მეგობარი.
ხან ის გეტყვის, ხან ეს რამეს
თავს გაირთობ საუბარით.
აგერ გუშინ პავლემ მითხრა
ეს ამბავი ამნაირი,
(თუ არ გჯერათ, გვარს გეტყვით და
[illegible] მის შაირი).
ათიოდე დღის წინ თურმე
მიუტანია მას დეპეშა.
წაიკითხა სამჯერ იგი
და ჩაიდო ჯიბეში
სწერდნენ: „ჩამო, ცოლშვილი
ამოწყვიტეს ახლა კვირას",
იჭვი შეგდოთ, რომ ამ ცნობამ
პავლე მწარედ ატირა?!
მყის სადგურში მიიჭრა და
მატარებელს პირველს გაჰყვა.
სანამ სოფელს მიაღწია
გულ-მუცელი აღარ ჩაჰყვა.
აუყუჩდა გული როცა
თავის ეზო დაინახა.
ვაჰმე შვილო, ვაჰმე ცოლო!
შორიდანვე მიიძახა!
სახლში იცნეს მისი ხმა და
შეეყარათ თითქო ელდა,
ცოტ კოცნით შეეგება
[illegible] შიშით დედა.
პავლეც მისთქვამს, დედამისაც
ვერ უბრუნებს სუნთქვას წყალი.
დედას შვილი, შვილს ცოლშვილი
არ ჰგონია ჰყავს ცოცხალი.
ამ კივილს და ორომტრიალს
ხმა შორიდან მოემატა.
ბავშვებითურთ. თმების გლეჯით
მოდის პავლეს ცოლი ნატა.
ცოლშვილი რომ დაინახა
მოუბრუნდა სული პავლეს.
სიხარულით ხმას ვერ იღებს
ვერ ათავებს ბავშთან ალერსს

შემდეგ რა და როგორ მოხდა
დაწვრილებით რაღას ვიტყვი.
საქმე თურმე მარტივი და
თან უბრალო იყო ძლიერ.
ჩვენი პავლეს უმცროსი და
მოელოდა დღეს ბედნიერს.
თხოვდებოდა და ქორწილში
თავის ღვიძლ ძმას დაუძახა.
გამტყუნებთ?! გასათხოვ ქალს
ამ საქციელს დაუძრახავთ?!
სწერდა: ჩამო, ქორწილით
გადასწყვიტეს ახლა კვირას.
დეპეშამ კი ჩვენი პავლე
გააცოფა, ააყირა!
ტელეგრაფში საქორწილო
შეუცვალეს ასატირად
„ჩამოდით, ცოლშვილით
ამოსწყვიტეს ახლა კვირას".
კიდევ კარგი, შეუბრუნდა
დაჩაგრულ კაცს ლხინად ჭირი,
ქორწილს გაჰყვა დიდი ჩხუბი
ტელეგრაფთან განაპირი.

*

ვიცი იტყვის ფოსტის ხალხი
სულ ტყუილი დასწერაო
სულ ხოხიკამ მოიგონა
და უზომოდ გაზვიადაო.
გამოვტყდები, მოვიგონე
ეს ამბავი ძმებო მარა,
ისეც ნამდვილად მინახია
ის სირცხვილად აღარ კმარა?!
ხომ არა გთხოვთ ძვირფასებო
ცოტა კიდევ მოიფხიზლოთ
და დეპეშა უსათუოდ
მესამე დღეს მოიტანოთ!
კვირა იყოს, არ დავეძებ,
თვე გავიდეს თუ კი გნებავთ,
ოღონდ ლხინი სატირალად
არ გაქციოთ არ აჯობა?!

ხოხიკა.

გრ. გოგიბერიძე

75 წელი ჩარლზ დარვინის „სახეთა წარმოშობის" გამოქვეყნებიდან

I

„დარვინი, რომელსაც მე ახლა ვკითხულობ, სწორედ, რომ დიდებულია. ერთის მხრივ თელეოლოგია აქამდე ჯერ კიდევ დაუმარცხებელი იყო, ახლა ეს გაკეთებულია, ამავე დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა ასეთი დიდმნიშვნელოვანი ცდა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი ბედნიერი ცდა ბუნების ისტორიული განვითარების დამტკიცებისა", სწერდა 1859 წელს ენგელსი კ. მარქსს. მარქსიზმის კლასიკოსები იმდენად დაინტერესებული იყვნენ დარვინის თეორიით, რომ „სახეთა წარმოშობის" გამოსვლისთანავე შეუდგნენ მის შესწავლას.

1861 წლის 16 იანვარს მარქსი სწერდა ლასალს: „დარვინის თხზულება ძალიან ძვირფასია... მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა, აქ არა მარტო სიკვდილის დაჰკრა ლახტი ბუნებათმეცნიერებაში თელეოლოგიას, არამედ ემპირიულადაც გამოკვლეულია მისი მნიშვნელობა".

დარვინამდე ბუნებისმეტყველებაში ბატონობდა თელეოლოგია, რომლის მიხედვითაც ბუნება ჰარმონიულად არის აგებული, მიზანშეწონილობის პრინციპზე. ჯერ კიდევ გამოჩენილმა ლამარკმა, სენტ-ილერმა და ბიუფონმა გამოთქვეს აზრი ორგანიული ბუნების ევოლუციური გზით განვითარების შესახებ, მაგრამ მათი გამოსავალი წერტილი თელეოლოგიური იყო. დარვინის სიდიადე იმაშია რომ მან პირველმა შესძლო იმ მიზეზის გამოკვლევა, რომელიც იწვევს ცხოველებისა და მცენარეების ცვალებადობას. დარვინმა გვიჩვენა, რომ გარემოსთან ორგანიზმების შეგუების საფუძველი თელეოლოგიური ხასიათის კი არ არის, არამედ მისი ისტორიული განვითარების შედეგია, რომ იგი არსებობისათვის ბრძოლისა და ბუნებრივ შერჩევაზეა დამოკიდებული.

დარვინის წინამორბედი ბუნებისმეტყველ ლამარკის აზრით კი, ორგანიზმების შეგუება გარემოსთან უმთავრესად თვით ცხოველის ნებასა და სურვილზეა დამოკიდებული, ლამარკის აზრით, ბევრ ფრინველს, მაგალითად ყანჩას, გრძელი ფეხები და გრძელი კისერი იმიტომ აქვთ, რომ ისინი [illegible] წყლიან ადგილებში დაიძებნენ.

ლამარკის თეორიით ყოვლად შეუძლებელია ისეთ [illegible] ფეხის წარმოშობისა და განვითარების ახსნა. ხოლო ბუნებრივი შერჩევით და გარემოსთან უფრო კარგად [illegible] გამოსადეგი ორგანოს მქონე ცხოველს შეგუების [illegible] წინსვლა ადვილი გასაგებია. ამიტომაც იყო, რომ დარვინის თეორიამ ასეთი დიდი [illegible] მოიპოვა. [illegible] ლამარკი მიზანშეწონილობის [illegible] ცდილობდა, დარვინმა კი იგი თვით ბუნების პირობებიდან გამოიყვანა.

ენგელსი, იცავს რა დარვინს დიურინგის თავდასხმისაგან, წერს: „ჩვენ დავინახეთ, რომ ბატონი დიურინგი მთელი თავის ძალ-ღონით ცდილობს მიზნის ცნება შეიტანოს ბუნებაში, საშუალების და მიზნის ურთიერთობა სრულიადაც არ გულისხმობს შეგნებულ განზრახვას. მაგრამ რა არის შეგუება შეგნებული განზრახვის დამოუკიდებლად იმ წარმოდგენათა დაუხმარებლად, რომელთა წინააღმდეგ იგი ასე იბრძვის, თუ არა ასეთი შეუგნებელი მიზანშეწონილი მოქმედება? მაშასადამე, თუ ბაყაყებს და ფოთლისმჭამელ მწერებს მწვანე ფერი აქვთ, უდაბნოს მხეცებს ქვიშისებური მოყვითალო, ხოლო პოლუსის ცხოველებს მეტ წილად თოვლივით თეთრი ფერი, — მათ ეს განზრახ ან რამე წარმოდგენების ზეგავლენით კი არ მიუღიათ პირიქით, ეს ფერები მხოლოდ ფიზიკური ძალებით და ქიმიური აგენტებით აიხსნება. მაგრამ უდავოა, რომ ეს ცხოველები ფერების შემწყობით მიზანშეწონილად შეგუებული არიან იმ წრეს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, სახელდობრ იმ მხრივ, რომ ბევრად ნაკლებ მოჩანან თავიანთი მტრების თვალში. აგრეთვე ის ორგანოები, რომლითაც ზოგიერთი მცენარე მათზე ჩამომჯდარ მწერებს აჭერს და ნთქავს, შეგუებულია ამ მოქმედებას, თვით მიზანშეწონილად შეგუებულია. თუ ბატონი დიურინგი დაიჟინებს, რომ შეგუება წარმოდგენით უნდა გამოიწვიოს, იგი მხოლოდ სხვა სიტყვებით იმას იტყვის, რომ მოქმედებაც წარმოდგენებით გამოწვეული შეგნებული, განზრახული უნდა იყოს. ამით კი ჩვენ, როგორც სინამდვილის ფილოსოფიის შეფერება, მიზანშეწონილად მოქმედ შემოქმედს, ღმერთს მივადგებით".

ამ ინტერპრეტაციით ენგელსი ამართლებს დარვინს. ყოველი ორგანიზმის შეგუება, გარემოსთან დარვინიზმის თვალსაზრისით, მისთვის მიზანშეწონილად შეგუებულია, რადგან თუ საბოლოო ჯამში ის არ დარჩა მიზანშეწონილად შეგუებული არ გამოდგა, მაშინ მცენარე ან ცხოველი შეცვლის გარემოსთან თავის დამოკიდებულებას; უკეთუ იგი თავის სიცოცხლისათვის ვერ ნახავს ხელსაყრელ შესაგუებელ პირობებს, მაშინ ის, ცხოველი იქნება თუ მცენარე, უეჭველად მოისპობა.

ბუნებაში მარადიულად არსებობს ბრძოლა არსებობისათვის რომელშიაც გადარჩებიან ისინი, რომლებიც გარემო პირობებს სხვაზე უფრო კარგად შეეგუებიან ისეთები კი, რომლებიც უფრო ნაკლებად შეგუებული გამოდგება, მოისპობიან. დარვინმა ორგანიზმების ცვალებადობის და მათი ევოლუციური განვითარების პრინციპი უმთავრესად სასოფლო მეურნეობიდან გამოიყვანა.

დარვინის ეპოქა, ე. ი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც შემუშავდა და მომწიფდა პირობები დარვინის თეორიის აღმოსაცენებლად, ბურჟუაზიული კულტურის აღორძინების ხანა იყო. ტექნიკის დარგში ამ პერიოდში ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოხდა, (ორთქლმავალი, რკინის გზა, ორთქლმავალი გემი, ტელეგრაფი და სხვა გამოგონება), სოფლის მეურნეობაშიაც დიდ მიღწევებს აქვს მოპოვებული. სელექციის საშუალებით ჯიშის გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების აღმოცენებას ამ დროს ძალიან ხშირად ახდენდნენ. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ რამდენიმე ასეთი გამოჩენილი მეჯოგე, მებაღე და ფერმერი, რომლებმაც სწორედ ამ პერიოდში სელექციის საშუალებით გამოიყვანეს ცხვრების, ძროხების, ღორების, ცხენებისა და სხვ; ცხოველების საუკეთესო ჯიშები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მარქსის, ენგელსის და დარვინის კაპიტალური შრომათა გამოქვეყნება თითქმის ერთ და იმავე წლებში ხდება. „სახეთა წარმოშობა" და მარქსის უკვდავი „კაპიტალის" პირველი ტომი 1859 წ. გამოქვეყნდა.

მრავალი სოციოლოგი იდეა ბუნებისმეტყველი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დარვინიზმის უმთავრესი ნაკლი სწორედ მუტაციური განვითარების უგულებელყოფაში მდგომარეობს. დარვინის მოძღვრების [illegible] ღებულობენ მარქსი და ენგელსი [illegible] გასაგონად აცხადებენ, რომ „სახეთა წარმოშობა" მათ საბუნებისმეტყველო საფუძველს აძლევს. იბადება კითხვა: როგორ შეიძლება, დარვინის თეორია, რომელიც ბუნების ევოლუციურ განვითარებას აღიარებს, მარქს-ენგელსის რევოლუციური თეორიის საბუნებისმეტყველო დასაყრდენი გამხდარიყო? საქმე ისაა, რომ დარვინიზმი ძირეულად არ უარყოფს მუტაციური განვითარების შესაძლებლობას, რადგან დარვინმა მოიყვანა ფაქტი აღნიშნა, რომელიც მუტაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მცენარეებისა და ცხოველების, მრავალ ჯიში, სწორედ რომ მუტაციური გზით იყო აღმოცენებული. მოშინაურების საშუალებით ადამიანი ხელოვნური შერჩევით ძალიან ჩქარა ცვლის ცხოველისა და მცენარის ჯიშს და აღმოცენებულთაგან ის ატოვებს თავისთვის უფრო სასარგებლოს. მაგალითად, მუტაციური გზით გაჩნდა და მოშინაურდა უფრო ძროხები, თხები და ცხვრები, [illegible] რაც მებაღეების მიერ შემჩნეულია, რომ გარეული ვაშლი ან მსხალი რომლებიც ველურ პირობებში ეკლიანი კბილებით არიან „შეიარაღებული" ბაღში გადმორგვის შემდეგ კარგავენ ამ კბილებს და „კულტურულდებიან". ველურ პირობებში ასეთი მცენარე ვერ იხარებდა ან ნაკლებად იხარებდა; საქმე იმაშია რომ თავისთავად დარვინიზმი სრულიადაც არ უარყოფს მუტაციური განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ მისთვის ნათელია, რომ ასეთ მუტაციურ ფორმას, რომელიც ნაკლებად შეგუებული იქნება გარემო პირობებთან, ნაკლები აქვს განვითარების შანსი.

როცა დარვინის თხზულებას კითხულობთ, უნებლიედ გებადებათ კითხვა, თუ რატომ ვერ შეაფასა ამ უდიდესმა ბუნებისმეტყველმა მუტაციების მნიშვნელობა. ამის შესახებ ჯერ კიდევ სამოციან წლებში დარვინის—მეგობარმა და თანამოაზრემ [illegible] მისწერა მას: „მე მიკვირს, რისთვის დაგჭირდა თქმა" „ბუნება ნახტომებს არ აკეთებს", მაშინ როცა თვითონ მრავალი მაგალითით ასაბუთებ ამას... შენ ამით ტყუილად ჩაიგდე თავი გასაჭირში".

მაგრამ ის, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით მუტაციისა და ევოლუციის შესახებ, ამომწურავად ვერ უპასუხებს ჩვენ მიერ დასმული საკითხს. მარქსმა და ენგელსმა [illegible] დარვინს მალთუსის თეორიის გადატანა საზოგადოების სფეროდან ბუნებაში მაგრამ ასეთივე [illegible] ისინი ყველას ვინც კი ლამობს საზოგადოებრივი მოვლენები ბუნების კანონებით ახსნას. ენგელსი „ანტიდიურინგში" აღნიშნავს რომ დარვინს მალთუსის დახმარება არ სჭირდებოდა, მას მალთუსიანური სათვალეების გარეშე თავისუფლად შეეძლო შეემჩნია, რომ ბუნებაში არის ბრძოლა არსებობისათვის და ამ მკაცრ და შეუპოვარ ბრძოლაში მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე გადარჩება.

მალთუსის კანონის დედააზრი იმაშია, რომ დედამიწის ზურგზე ხალხთა გამრავლება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე მათი გამოსაკვები სურსათ-სანოვაგის დამზადება. ხალხს არ ყოფნის მიწის ფართობი, რის შედეგადაც იწყება მტრობა და ომები. მალთუსის შეხედულება ისტორიულად [illegible] კი ჩვენ ამ დებულების სრულიად საწინააღმდეგო საბუთი მოგვცა. კაპიტალისტური ქვეყნების შორის ომები სურსათ-სანოვაგის და საერთოდ საქონლის სიმცირის ნიადაგზე კი არ იწყება, არამედ ჭარბად დამზადებულ საქონლისათვის.

მალთუსის კანონი, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია საზოგადოებრივ მოვლენათა ასახსნელად, რასაკვირველია, არ გამოდგება არც ბუნებრივი მოვლენების ასახსნელად. დარვინი, რომელიც ძალიან გატაცებული იყო მალთუსით და ფიქრობდა, რომ სწორედ მალთუსმა მისცა მას ხელში ბუნების საიდუმლო ყუთის გასაღები, მწარედ მოტყუვდა. საქმე იმაშია, რომ დარვინის თეორიის მიხედვით, ყოველად შეუძლებელია, რომ შეუსაბამობა იყოს მოსახლეობის გამრავლებასა და მათთვის საჭირო სურსათ-სანოვაგის მომარაგებაში, (თუ ეს ხდება, არა კაპიტალისტური წყობილების პირობებში).

ამრიგად, მალთუსის კანონი, მხოლოდ გარეგნულად წააგავს დარვინისას, ხოლო თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მაშინ აშკარა გახდება, რომ ისინი ერთიმეორის დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან. მაშასადამე, ის კომპლიმენტი, რომელიც მალთუსის მისამართით გამოთქვა დარვინმა, მხოლოდ გაუგებრობაზე იყო დამყარებული.

ზოგი მეცნიერი დარვინიზმს და მარქსიზმს გაიგივებას ახდენს, ზოგი კი მათ ერთიმეორეს უპირისპირებს არც ერთი და არც მეორე შეხედულება სწორი არ არის, როგორ უპასუხებს დარვინის თეორია ეგრეთწოდებულ — „რასიული თეორიის" საკითხებს? დარვინი რასების წარმოშობის შესახებ, როგორც ვიცით, მონოფილისტია. თანამედროვე სოციალ - დარვინისტები კი პოლიფილისტები არიან. დარვინის აზრით, დედამიწის თანამედროვე რასები ერთი სათავიდან არიან წარმოშობილი. სოციალ-დარვინისტები და ფაშისტები კი ფიქრობენ, თითქოს ეგრეთწოდებულ ჩრდილოეთის რასას არავითარი გენეალოგიური კავშირი არ აქვს მაგ. ყვითელ და წითელ რასასთან. ფაშისტების ბელადი როზენბერგი არიულ რასაში რაღაც ღვთაებრივი ძალის მქონე ხალხს ხედავს.

ფაშისტები თავის „მეცნიერული" დებულებების გასამართლებელ საბუთებს ძველი ბერძნების მითებშიც კი ეძებენ. ფაშისტი — შ. სტემლერი წერს: „ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ადამიანთა რასებშიაც ვპოულობთ მეტნაკლებ ღირებულების რასებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩრდილოეთის რასა ჯანმრთელი გერმანელი ის იდეალი, რომლისკენაც უნდა ვცდილობდეთ ჩვენი ხალხის მიყვანას... მადლობელი ვართ ჩვენი მთავრობის იმისათვის, რომ მან გამიჯნა წმინდა სისხლის გერმანელი სხვა უცხო რასებისა ადამიანებისაგან. მოვითხოვოთ ჩვენი ექიმებისაგან და მოველით, რომ მათ მოიხმარონ მთელი თავიანთი გავლენა, რათა ჩვენს ხალხში ხელახლა აღმოცენდეს სირცხვილის გრძნობა რასიული აღრევისათვის".

მაგრამ ეს „თეორია", როგორც ყოველთვის, ეწინააღმდეგება იმ ფაქტებს, რომლებსაც გვაწვდის თანამედროვე მეცნიერება საქმე ის არის, რომ თანამედროვე ზოოტექნიკოსებმა დიდი ხანია, რაც შეამჩნიეს რომ ჯიშის გაუმჯობესება ადვილი საქმეა სხვადასხვა რასის ცხოველების აღრევით, ე. ი. მეტიზაციის საშუალებით. ეს საკითხი ახლა ნათელია ყველასათვის, ვინც კი ოდნავად გაეცნობა მეცხოველეობას.

ისიც კია შემჩნეული, რომ თითქმის არც ერთი გენიოსი არ ყოფილა ე. წ. „წმინდა სისხლის", არამედ მათ გენეალოგიაში დედის ან მამის მხრივ ხშირად სხვადასხვა ერის — ან რასის წარმომადგენლები იყვნენ ხოლმე.

ჩ. დარვინი, პირიქით, სწორედ რასიულ აღრევაში ხედავს რასის გაუმჯობესების საბუთს. ის სარგებლობს გამოჩენილ ფრანგი მოგზაურის შარდენის დაკვირვებებით და ამბობს:

— „სპარსელების აღწერისას ძველი მოგზაური შარდენი ამბობს: მათი სისხლი ახლა უკიდურესად გაკეთილშობილდა ქართველებთან და ჩერქეზებთან ხშირი დაქორწინების გამო. ეს ორი ერი ყველა სხვა ხალხზე გაცილებით უფრო ლამაზია. სპარსეთში ძალიან ძნელად მოიძებნება თუნდაც ერთი წარჩინებული კაცი, რომელსაც დედა ქართველი ან ჩერქეზი არ ჰყავდესო". ჩ. დარვინის ეს დებულება ყოველგვარ საფუძველს აცლის და მიწასთან ასწორებს ფაშისტების თეორიას რასების აღრევის შესახებ.

◆

ამხ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში მოწინავეთა რიგებში დგას ამხ. სტეპანოვიჩის ბრიგადა, რომელიც მუშაობს ვაგონების შიგნითა მოწყობილობაზე. ბრიგადა სისტემატიურად გეგმას ასრულებს 120—125 პროცენტით. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამ ბრიგადის მიერ შეკეთებული ვაგონი უკანვე დაბრუნებით.

სურათზე: სტეპანოვიჩის სანიმუშო ბრიგადა.

აკად. ი. ი. მეშჩანინოვი
გაემგზავრა ბაქოში

აკადემიკოსმა ი. ი. მეშჩანინოვმა დაასრულა მთელი რიგი დიდი სამუშაოები საქართველოში და 22 ნოემბერს 15 დღით გაემგზავრა ბაქოში სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის ა.-კ. ფილიალის აზერბეიჯანის განყოფილების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, და პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტებთან მეცადინეობისათვის. ბაქოდან აკად. მეშჩანინოვი გაემგზავრება თავის მუდმივ სამუშაო ადგილას — ლენინგრადში.

ლენინგრადში დაბრუნების შემდეგ აკად. მეშჩანინოვი შეუდგება, კერძოდ, მისი მეთაურობით აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალების დამუშავებას.

რაციონალიზატორი

რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს ფასდაუდებელი განძი შეაქვთ ჩვენი სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაში. თავიანთი საქმიანი წინადადებებით ისინი მრავალ ათეულ და ასეულ ათას მანეთის ეკონომიას აძლევენ წარმოებას. ტფილისის ფაბრიკა-ქარხნებში ფართო გამოყენებას პოულობს მუშათა რაციონალიზატორული წინადადებები. ერთი სახელოვანი რაციონალიზატორი ჰყავს ტფილისის ავტო-სარემონტო ქარხანას. ეს არის ამხ. შჩერბაკოვი. მან თავისი რაციონალიზატორული წინადადების გატარებით ერთ ნახევარჯერ გაადიდა საგლინავი დაზგის პროდუქციის გამოშვება.

სურათზე: რაციონალიზატორი ამხ. შჩერბაკოვი საგლინავ დაზგასთან.

* * *

ხელოვნება
მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ნოემბრის თვის ბოლო რიცხვებში მარჯანიშვილის სახ. თეატრში დაიდგმება უკრაინელი დრამატურგ ალ. კორნეიჩუკის, საკავშირო კონკურსზე პრემირებული პიესა „ესკადრის დაღუპვა". პიესას დგამს რეჟ. დ. ნაკაშიძე, დეკორატიულად—აფორმებს პროფესორი დ. კაკაბაძე ხოლო მუსიკალურად — კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე პიესა თარგმნა გ. ფრონისპირელმა.

პიესა „ესკადრის დაღუპვა" გვიჩვენებს შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ხელში ჩასაგდებად გამართულ ბრძოლის სურათს სამოქალაქო ომების პერიოდში. სამოქალაქო ომის ამსახველ პიესათა შორის „ესკადრის დაღუპვა" სამართლიანად მიჩნეულია, როგორც მხატვრულად ყველაზე უფრო სრულყოფილი და იდეოლოგიურად გამართული ნაწარმოები. კორნეიჩუკის ეს პიესა არა მარტო ლიტერატურულ ღირსებით არის შემკული, არამედ სცენიურადაც გამართულია და სპექტაკლის სრულქმნისათვის მეტად ხელსაყრელ დრამატურგიულ მასალას იძლევა

ეს სპექტაკლიც მარჯანიშვილის მიერ თეატრში განმტკიცებულ მხატვრულ ტრადიციებზე იქნება აგებული, ისე, რომ მხატვრული სისადავით, გამომსახველობით საშუალებათა ლაკონიურობით მიღებულ იქნას რევოლუციურ სინამდვილის სიმართლით ამსახველი სპექტაკლი.

□ □ □

სოციალისტური მეცხოველეობის გამარჯვებათა გამოფენა

ბორჯომი, 22 ნოემბერი. ამას წინათ ბორჯომში გაიმართა მეცხოველეობის რაიონული გამოფენა. გამოფენა სამ დღეს გაგრძელდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბორჯომის რაიონის ყველა 18 კოლმეურნეობის, სამტრესტის ცხისჯვარის საბჭოთა მეურნეობის, ბაკურიანის ნადირთმომშენებელ საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა 26 მეურნეობის ექსპონატები —სულ 207 სული სხვადასხვა პირუტყვი.

ცხისჯვარის საბჭოთა მეურნეობამ გვიჩვენა თავისი საუცხოო მეწველი პირუტყვი. გამოფენაზე მყოფი ძროხა „მშვენიერი" იწონის 485 კილოგრამს და დღეში იძლევა 22 კილოგრამამდე რძეს, მეორე ძროხა—„სილვა" იწონის 450 კგ-ს და დღეში იძლევა 15 კგ რძეს. ამ ძროხებს პირველი პრემიები (სიგელები) მიესაჯა.

ბაკურიანის ნადირთმომშენებელმა საბჭოთა მეურნეობამ გამოფინა ჯიშიანი შინაური კურდღლები, მელები, ენოტისებური ძაღლები, ირემი და ლოსი, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაშია გამოზრდილი.

პირუტყვის და ფრინველის საუცხოო ნიმუშები გვიჩვენეს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებმა. მაღალი მაჩვენებლების მქონე მეურნეობანი დაჯილდოებულ იქნენ. პირველი ჯილდო — 300 მან. მიიღო ტაბაწყურის კოლმეურნეობის სარძეო სასაქონლო ფერმამ, მეორე ჯილდო — 200 მან.—მოლითის კოლმეურნეობის სარძეო სასაქონლო ფერმამ.

ცხვრების საუკეთესო ექსპონატები გვიჩვენეს ბალანთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმამ, რომელმაც მიიღო პირველი ჯილდო — 200 მან., და ბაკურიანის კოლმეურნეობამ, რომელიც დაჯილდოებულ იქნა — 150 მანეთით.

პირუტყვის კარგი მოვლისა და ნამატის შენარჩუნებისათვის ტაბაწყურის და ჩიხარულის სარძეო - სასაქონლო ფერმათა საუკეთესო მწველელმა ქალებმა მიიღეს ფულადი ჯილდო — მანეთი თვითეულმა.

ჩინებული მუშაობისათვის ფულადი ჯილდო მიეცა აგრეთვე მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების მწყემსებს.

გამოფენა ძალიან გაცხოველებულად ჩატარდა. მან კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა დიდი ყურადღება მიიპყრო. გამოფენას განუწყვეტლად ნახულობდენ აგრეთვე საწარმოთა და ქარხანათა მუშა - მოსამსახურეები, მოწაფენი და სხვ.

გამოფენის დახურვის დღეს გამოფენის ტერიტორიაზე (ბორჯომ - პარკი) მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოსული კოლმეურნეები იძლეოდენ სიტყვას, რომ მეცხოველეობის დარგში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ.

საქართველოს სახკინმრეწვმა გამოფენა გადაიღო კინო-ქრონიკისათვის (ალს).

დასასვენებელი სახლი

„საქართველოს ჩაი" გურიაში ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების მუშა - მოსამსახურეებისათვის აშენებს დასასვენებელ სახლს. დასასვენებელი სახლის მშენებლობა შეტანილია პირველი რიგის მშენებლობათა რიცხვში და გათანასწორებულია ჩაის ფაბრიკების მშენებლობასთან

დასასვენებელ სახლთან მოეწყობა საგარეუბნო მეურნეობა.

დასასვენებელი სახლის მშენებლობა დამთავრდება 1935 წლის 1 მაისისათვის

მოსკოვის ქარხანა „პრომკუზმა" გამომცხვარი პურის გადასაზიდად რამდენიმე ავტოფურგონი გამოუშვა. ამ ქარხანამ შასიზე დაამონტაჟა სტალინის სახ. ავტოქარხნის მიერ დამზადებული სპეციალური ძარები. შემდეგ ასეთი ფურგონების წარმოებას შეუდგა მოსკოვის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის საცდელი ქარხანა. **სურათზე:** პურის გადასაზიდი პირველი ავტოფურგონი, გამოშვებული მოლოტოვის სახ. ავტოქარხნის მიერ გორკიში.

საბჭოთა დავოსი
ნორვეგიელი წრიაპოსნები სტაკსრუდი და ენგენსტანგენი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდენ ნორვეგიელები ჰანს ენგენსტანგენი და მიკაელ სტაკსრუდი, რომლებიც ბაკურიანში მიემგზავრებიან. ორივე წრიაპოსანს არა ერთხელ აუღია პირველობა მსოფლიო შეჯიბრებაში. ბაკურიანში ისინი მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს დავალებით საზამთრო სპორტის საკავშირო სადგურის მშენებლობის ადგილის ამოსარჩევად, აგრეთვე იმისათვის, რომ გამოარკვიონ, თუ რამდენად შესაძლებელია იქ საკავშირო და საერთაშორისო საწრიაპო და სათხილამურო შეჯიბრების ჩატარება

სურათზე: შუაში ყვავილებით ენგენსტანგენი, მის მარჯვნივ სტაკსრუდი

როგორც ცნობილია, კლიმატური პირობები დიდ როლს თამაშობს საწრიაპო შეჯიბრების საქმეში. საბჭოთა კავშირში შეჯიბრება დღემდე ტარდებოდა ისეთ ადგილებში, რომლებიც თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით საამისოდ მაინცდამაინც გამოსადეგი არ იყო.

დღემდე საერთაშორისო საზამთრო სასპორტო შეჯიბრების ცენტრებად ითვლებოდა დავოსი და სენ-მორიცი (შვეიცარია) ყველა მსოფლიო რეკორდი საწრიაპო სპორტში დამყარებული იყო დავოსსა და სენ-მორიცში. ახლა აღმოჩენილია საბჭოთა დავოსი—ეს არის ბაკურიანი. დავოსი და ბაკურიანი მდებარეობენ თითქმის ერთისა და იმავე სიმაღლეზე. მზის სხივების გამოკრთომა, ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა აქ აგრეთვე ცოტათი განსხვავდებიან დავოსისა და სენ-მორიცისაგან. ამასთან ბაკურიანს, რომელიც მთის მწვერვალებით არის შემოფარგლული, დავოსთან და სენ-მორიცთან შედარებით, ერთი დიდი უპირატესობა აქვს—ის, რომ აქ სრულიად არ იცის ქარი. ბაკურიანის გადაქცევა საზამთრო სასპორტო შეჯიბრების არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრად საშუალებას მისცემს ჩვენს წრიაპოსნებს გააუმჯობესონ თავისი რეკორდები.

ჰანს ენგენსტანგენი და მიკაელ სტაკსრუდი დაახლოვებით უკვე ორი თვეა, რაც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან და დარჩებიან აქ ზამთრის სეზონის დამთავრებამდე ამ ხნის განმავლობაში ისინი მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის და რუსეთის სოც. რესპუბლიკის პირველობის გათამაშებაში და გამოვლენ საჩვენებელ შეჯიბრებაში ტულაში მინსკში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

ჰანს ენგენსტანგენი **25 წლისაა.** იგი ითვლება მსოფლიოში საუკეთესო წრიაპოსნად — სპრინტერად (მოკლე დისტანციებზე მარბენი). 500 მეტრზე გარბენაში მისი შედეგია — 42,5 წამი, ე.ი. 0,1 წამით უკეთესი შედეგი ცნობილ წრიაპოსან კლაუს ტუნბერგის შედეგზე. ენგენსტანგენის საუკეთესო შედეგებია: 1.500 მეტრზე გარბენაში—ორი წუთი და 18,3 წამი. 5.000 მეტრზე — 8 წუთი და 21,6 წამი და 10.000 მეტრზე — 17 წუთი და 22,6 წამი.

მიკაელ სტაკსრუდიც 25 წლისაა. 1930 წელს ოსლოში (ნორვეგია) მან მოიპოვა მსოფლიო პირველობა. შარშან ზამთარში მან გაიმარჯვა ოსტატთა ევროპის შეჯიბრებაში. გარბენაში მისი საუკეთესო შედეგებია: 500 მეტრზე — 44.2 წამი, 1.500 მეტრზე — 2 წუთი 19,5 წამი, 5.000 მეტრზე—8 წუთი 19,9 წამი და 10.000 მეტრზე —17 წუთი 23,2 წამი.

ჰანს ენგენსტანგენი და მიკაელ სტაკსრუდი 1934 წლის მარტში მონაწილეობას ღებულობდენ საწრიაპო შეჯიბრებაში — მოსკოვში. ამას გარდა, ჰანს ენგენსტანგენი საბჭოთა კავშირში წინათაც იყო — 1928-29 წლის სეზონში.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ ნორვეგიის წრიაპოსანთა კავშირმა გამორიცხა ენგენსტანგენი და სტაკსრუდი წრიაპოსანთა კავშირის წევრთა რიცხვიდან. ნორვეგიის მთელი ბურჟუაზიული პრესა თავს ესხმის თავის თანამემამულეებს და უწოდებს მათ „სამშობლოს მოღალატეებს" და „დეზერტირებს". მიუხედავად ამისა გლეხის შვილი ჰანს ენგენსტანგენი და წყალსადენის მუშის შვილი მიკაელ სტაკსრუდი დარჩნენ მუშათა სასპორტო მოძრაობის ერთგულნი და დაბრუნდენ საბჭოთა კავშირში საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ორი საზამთრო სეზონის განმავლობაში ჰანს ენგენსტანგენი და მიკაელ სტაკსრუდი დიდ მუშაობას ჩაატარებენ საზამთრო სპორტის საკავშირო სკოლაში, რომელიც მალე გაიხსნება, სადაც ახალგაზრდა საბჭოთა წრიაპოსნებს შეასწავლიან საწრიაპო სპორტის უმაღლეს ტექნიკას.

საკავშირო შეჯიბრებაზე ისინი შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წრიაპოსნებს — იაკობ მელნიკოვს, ლებედევს, კალინინს და სხვებს (ალს).

მ. შევარდნაძე

საქართველოს მუზეუმი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ხანგრძლივი ისტორია აქვს. დაარსებულია ის 1865 წელს „კავკასიის მუზეუმის" სახელწოდებით. მუზეუმის დამაარსებელი მისი პირველი დირექტორი იყო გერმანელი ბუნებისმეტყველი დოქტორ გეორგ რადდე), მუზეუმის მიზანს შეადგენდა კავკასიისა და მოსაზღვრე ქვეყნების ბუნებისა და იქ მოსახლე ხალხთა კულტურის და ისტორიის შესწავლა, რისთვისაც მუზეუმში იმთავითვე ჩამოყალიბდა შემდეგი ხუთი განყოფილება: გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული. ასეთი სტრუქტურა შეინარჩუნა მუზეუმმა უცვლელად რევოლუციამდე:

კავკასიის მუზეუმი უკვე ისტორიას ეკუთვნის იმისი მოღვაწეობის შედეგების შეჯამება და დაფასება მოითხოვს, სპეციალურ გამოკვლევას რაც ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. თავისი არსებობის ხუთიოდე ათეული წლის მანძილზე მუზეუმმა შეძლო დიდძალი და მნიშვნელოვანი სამეცნიერო კოლექციების შეგროვება, მათ შორის მთელი რიგი უნიკალური ძეგლებისა, როგორიც არის ხალხური წარწერები და სხვა. ზოოლოგიური და ბოტანიკური, და ნაწილობრივ არქეოლოგიური კოლექციების წყალობით მუზეუმმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. მუზეუმის გამგეობა ახერხებდა მუზეუმის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების გატანას სპეციალისტების ფართო წრეებში. მუზეუმის კოლექციების დამმუშავებელთა შორის რუსეთისა და უცხოეთის მრავალი პირველხარისხოვანი მეცნიერი ერიცხება. რომელთა ავტორიტეტი ძლიერ უწყობდა ხელს მუზეუმის სამეცნიერო პრესტიჟის გაზრდას. მუზეუმმა შეიერთა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა, გაიჩინა დამხმარე ლაბორატორიები და შეძლო მთელი რიგი ნაშრომების გამოცემა, რომლებსაც მეცნიერული მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ. ამრიგად, კავკასიის მუზეუმი თავის არსებობის ბოლო ხანებში, როგორც ერთადერთი სპეციალური კავკასოლოგიური მუზეუმი, მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ინსტიტუტად გადაიქცა.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის მუზეუმი, როგორც ცარისტული ბიუროკრატიის ქმნილება, გამსჭვალული გაბატონებული ერის, გაბატონებული კლასების იდეოლოგიით, შეზღუდული იყო ამ იდეოლოგიის ვიწრო ფარგლებით. განსაკუთრებით საგრძნობი აღმოჩნდა ამ შეზღუდულობის შედეგები იქ, სადაც საქმე სოციალურ მოვლენათა შესწავლას შეეხებოდა. კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ყოფა - ცხოვრების შესწავლისა და ახსნის ამოცანა მუზეუმს ერთობ ზერელედ ჰქონდა გაგებული. მაგრამ ბუნების შესწავლაშიც მუზეუმის საქმიანობა იშლება იმ ვიწრო ფარგლებში, რომლებიც შეესაბამება მე-19 საუკუნეში კავკასიაში მრეწველობის ინტერესების სივიწროვეს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ კავკასიის მუზეუმი, როგორც ფინანსური და მუშა ორგანიზმი, არსებითად მცირეძალოვან ერთეულს წარმოადგენდა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში მუზეუმს არ შეეძლო კავკასიის შესწავლის საქმეში გაეშალა მიზნის შესაფერი ღრმა და ფართო მუშაობა და მოეცა ის მდიდარი მეცნიერული შედეგები, რომლებსაც აძლევს მკვლევარს კავკასია, და კერძოდ საქართველო, როგორც საკვლეო ასპარეზი. 1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, მუზეუმის ისტორიაში იწყება სრულებით ახალი ხანა.



საქ. მუზეუმი—ხევსურეთის გამოფენის ერთერთი კუთხე.

საქ. მუზეუმი—სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე; კოლმეურნე ქალი (ქანდაკება ნ. წერეთლისა).

Δ Δ

მუზეუმის ახალ მესვეურებს მოუხდათ მუზეუმის საქმეების მიღება ფრიად მძიმე პირობებში. 1911 წლიდან დაწყებული მუზეუმის ახალი შენობის აგება შენელდა და სრულებით შეწყდა. მუზეუმის გაეროვნების ხანაში მუზეუმის მთელი სამეცნიერო და სამეურნეო ქონება მოთავსებული იყო ეგრეთწოდებულ ძველ კორპუსში, რომელიც ამრიგად მუზეუმის საწყობს წარმოადგენდა. ახალი კორპუსის აგება დამთავრდა მხოლოდ 1930 წელს და მხოლოდ ამ წლიდან გადავიდა ის მუზეუმის განკარგულებაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოოლოგიურ განყოფილებას, რომლის გაშლა დაიწყო 1922 წელს ახალი კორპუსის ადრევე დამთავრებულ სამხრეთის ფრთეულში, დანარჩენი ოთხი განყოფილების დაბინავების, გაშლის და ინვენტარით უზრუნველყოფის ამოცანა ერთბაშად წამოიჭრა მუზეუმის წინაშე მთელი თავისი სიმძიმით მას შემდეგ, რაც მან ახალი შენობა ჩაიბარა. საკმაო ფულადი სახსრების უქონლობის და მუშა-ხელის ნაკლებობის გამო, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ყველა წამოჭრილ სამუშაოთა პარალელურად წარმოება, მით უმეტეს, რომ გზადაგზა მუზეუმი იტვირთებოდა ახალი ამოცანებით, როგორიც არის მთელი რიგი გაუქმებული სამუზეუმო ან საბიბლიოთეკო ერთეულების მიღება ან დროებით შეკედლება (სასტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი და ბიბლიოთეკა, ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, პედაგოგიური მუზეუმი, თეატრალური მუზეუმი და სხვა). ამავე დროს სწარმოებდა მუზეუმის სტრუქტურული ზრდა; მას შეემატა ორი ახალი განყოფილება: ხელნაწერებისა და ფოლკლორის. ასეთ პირობებში მუზეუმს თავისი უახლოესი ამოცანების გადაჭრა შეეძლო მხოლოდ სამუშაოთა შესრულების განსაზღვრული თანამიმდევრობის შემოღებით.

პირველ რიგში მუზეუმს უნდა შეესრულებინა თავისი უმთავრესი ამოცანა, რომელიც ფართო საზოგადოებრივობის მომსახურების სფეროს ეკუთვნის; მას უნდა გაემართა გამოფენები. ჩვენ ვიცით ახლა, რომ მუზეუმმა ეს მოვალეობა შეასრულა და დღემდე მოგვცა შემდეგი გამოფენები: მუდმივი ზოოლოგიური გამოფენები (10 ბიოლოგიური ჯგუფი და ბიოლოგიური მასალა), დროებითი გამოფენა სოფლის მეურნეობის მავნებელთა შესახებ, საქართველოს მინერალური რესურსები, ხევსურეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენები, მხატვრული ხელსაქმის გამოფენა, ფირდოუსის საიუბილეო გამოფენა, რომელიც რსფსრ-ის განსახკომის წინადადებით გადატანილი იქნება მოსკოვში, დაწყებულია არქეოლოგიური გამოფენა: წინაკლასობრივი საზოგადოება კავკასიაში და კოსტიუმების გამოფენა, რომლებიც დამთავრდება 1935 წელს. მუზეუმის მნახველთა რიცხვი წლის განმავლობაში 80.000-მდე აღწევს.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მუზეუმს ამ პერიოდის განმავლობაში არ უწარმოებია საექსპედიციო და საკვლევო - სამეცნიერო მუშაობა 1923 წლიდან ჩატარებულია ეთნოგრაფიული ექსპედიციები მესხეთში, ქვემო-ქართლში, ხევსურეთში, კახეთში, თუშეთში და აჭარაში. ამავე ხნის განმავლობაში წარგზავნილია ზოოლოგიური, გეოლოგიური და ბოტანიკური ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რაიონში. 1930 წლიდან დღემდე შესრულებულია ხალხური ზეპირსიტყვაობის შესასწავლად ხუთი ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში, ატენის ხეობაში, თეძმის ხეობაში, ალგეთის ხეობაში და გუდამაყარში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური გათხრები კარსნისხევისა, ზემო-ავჭალისა, დევის-ხვრელისა, ნოქალაქევისა, იყალთოსი და, დასასრულ, ქვალონის გათხრა. ამ გათხრების წყალობით აღმოჩენილია მრავალი ახალი ნაშთი, რომლებიც ახასიათებს ადამიანის კულტურის ქვისა, ბრინჯაოს და რკინის უძველეს ხანას.

ამ ექსპედიციების მუშაობით მუზეუმს შეემატა დიდძალი სამეცნიერო მასალა, შეკრებილი, გარკვეული და შესწავლილი უმთავრესად მუზეუმის საკუთარი სამეცნიერო ძალებით. თუ ახლა თვალს გადავავლებთ მუზეუმის განყოფილებებს და იმათ სამეცნიერო კოლექციებს, ჩვენს თვალწინ გადაიშლება შემდეგი სურათი: **გეოლოგიურ განყოფილებაში** არის 169 კოლექცია 15.310 ნიმუშით; აქედან 85 პეტროგრაფიული კოლექცია 5.186 ცალი ნიმუშით და 84 პალეონტოლოგიური კოლექცია 10.124 ცალი ნიმუშით. **ბოტანიკური განყოფილება** თავისი მდიდარი ჰერბარიუმებით, მათ შორის: ძირითადი კავკასიის ჰერბარიუმი შეიცავს 65.000 საჰერბარიო ფურცელს, ევროპული და თურქულ-სპარსული ჰერბარიუმი, დუბლეტების ჰერბარიუმი.

ზემოაღნიშნულ ყვავილოვან ან უმაღლეს მცენარეთა გარდა განყოფილებაში დაცულია უდაბლეს მცენარეთა: ალგების-წყალმცენარეების, სოკოების, მღიერების და ხავსების ნიმუშები. **ზოოლოგიურ განყოფილებაში** არის ძუძუმწოვრები—5.410 ცალი, ფრინველები—5.100, ქვემძრომნი—1.596, ამფიბიები—354, თევზები—2.859, ფეხსახსრიანები—700.395. **არქეოლოგიურ განყოფილებაში** არის საქართველოს და კავკასიის ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანის დამახასიათებელი ექსპონატები, დაახლოებით 15.000 ცალი. **ეთნოგრაფიულ განყოფილებაში** მოთავსებულია საქართველოს მთისა და პლატოს და საერთოდ კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ობიექტები, ტანისამოსი, იარაღი, ამულეტები, ხალიჩები და სხვა, სულ 23.154 ცალი. **ფოლკლორის განყოფილებაში** (დაარსებულია 1932 წ.) ორი ქვეგანყოფილებაა: პოეტური და მუსიკალური ფოლკლორისა. პოეტურ ფოლკლორის დარგში შეკრებილია: ანდაზა—6.000; გამოცანა—800; ზღაპარი—1.200; ეპოსი: ძირითადი ციკლი—200 ფაბულა და დაახლოებით 1.000 ვარიანტი; ლირიკული ლექსები—500-მდე; სიტყვის მასალა, ზმები, შელოცვა, დალოცვა და საერთოდ უძველესი მაგიის აღმნიშვნელი ძეგლები—400-მდე.

მუსიკალური ფოლკლორის დარგში წარმოდგენილია 130 მუსიკალური ინსტრუმენტი და 80 მუსიკალური ჩანაწერი.

ხელნაწერთა განყოფილება შეიცავს სულ 27.000 ხელნაწერს და საბუთს. განყოფილებაში ვარაუდით კონცენტრირებულია ქართული ხელნაწერების 80 პროც. განყოფილებაში წარმოებს წარმოდგენილი უნიკალური ძეგლების მეცნიერული დამუშავება და კერძო პირებში დარჩენილი მასალების შეგროვება.

მუზეუმს აქვს თავისი **ბიბლიოთეკა** (150.000 წიგნი) და მასთან დაკავშირებული გამოცემათა გაცვლა-გამოცვლის განყოფილება, რომლის ქსელში ჩაბმულია 350 სამეცნიერო ორგანიზაცია, აქვს ტაქსიდერმიული ლაბორატორია, ფოტოლაბორატორია და გამომცემლობა. საქართველოს მუზეუმს გამოცემული აქვს დღემდე —მუზეუმის მოამბე 7 ტომი, 6 ცალკე მონოგრაფია მუზეუმის შრომების სერიაში და ცალკე გამოცემად ცნობილი არქეოლოგის სმირნოვის გამოკვლევა „ახალგორის განძი".

ყველა ეს მიღწევები საქართველოს მუზეუმმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის და ხელისუფლების უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით. საქართველოს მუზეუმის სახით ჩვენ გვაქვს დიდი და რთული სამეცნიერო დაწესებულება. ის დონე, რომელზეც ახლა დგას მუზეუმი თავისი შინაგანი ორგანიზაციით, ამოცანების გაგებით, მუშაობის მეთოდებით და ხარისხით, მუშათა კოლექტივის სიმძლავრით, სამეცნიერო აპარატურით, ფინანსების და ბინის რაოდენობით ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ მუშაობა გაიშალოს იმ მასშტაბით და ტემპებით, რომლებიც მოეთხოვება მუზეუმს სოციალისტური კულტურის მშენებლობის სწრაფი ზრდისა და განვითარების პირობებში.

მეტი ფართობი, მძლავრი ბიუჯეტი, მძლავრი შტატი, აი რა არის საჭირო, რათა მუზეუმმა სავსებით გაშალოს თავისი შესაძლებლობანი, როგორც საექსპოზიციო და საკვლევ-სამეცნიერო, ისე მასობრივ მუშაობაში და შეასრულოს ის საბრძოლო დავალება, რომელიც მას მიცემული აქვს პარტიისა და ხელისუფლების მიერ.

მზადება ტირაჟისათვის ქუთაისში

ქუთაისი, 23 ნოემბერი. რაიონული შემნახველი სალარო ენერგიულად ემზადება სესხის მომავალი ტირაჟისათვის. შემნახველ სალაროს და საფინანსო დარგის მუშაკებმა იკისრეს ვალდებულება — ტირაჟის დღისათვის 30 პროცენტით შეასრულონ მეოთხე კვარტალის საფინანსო გეგმა. 21 ნოემბრისათვის საკვარტალო გეგმა შესრულებულია 72,1 პროცენტით. ცალკეული სახეების მიხედვით გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული: ქალაქში ანაბარების მიზიდვის გეგმა შესრულებულია 5,8 პროც. გადაჭარბებით, სესხის შესატანის შეგროვების გეგმა ერთპიროვნულ სექტორში—14 პროცენტით, დანარჩენი სახეების დარგში გეგმა შესრულებულია 63—74 პროც.

ქრონიკა
კრიტიკოსთა თათბირი საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში

25 ნოემბერს, საღამოს 7 ს. მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნო იწვევს თათბირს კრიტიკოსებთან—ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე. აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება: ლ. ასათიანი, დ. ვოლსკი, ბ. გორდეზიანი, კ. გორდელაძე, შ. დუდუჩავა, ს. დანელია, ივ. ვაშაყმაძე, გ. მდივანი, გ. თავზარაშვილი, მ. ზანდუკელი, ვ. კოტეტიშვილი, კ. კაპანელი, ვ. ლუარსაბიძე, გ. მუშიშვილი, მ. ტოროშელიძე, კ. მელაძე, ბ. ნატროშვილი, გ. ნადირაძე, შ. ნუცუბიძე, შ. რადიანი, თ. სახოკია, ალ. სულავა, პ. ქიქოძე, გ. ქიქოძე, ვ. ხუროძე, შ. შავგულიძე, პ. შარია, აკ. შუღნია, ა. ჭეიშვილი, ვ. წულუკიძე.

❂

25 ნოემბერს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) საქ. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი იწვევს ტფილისის მუშათა კლუბების კულტმუშაკებისა და მუსიკალური წრეების ხელმძღვანელების თათბირს.

განათლების სახ. კომისრის ბრძანება

1. დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ყოველი გაკვეთილის ხანგრძლივობა ა.-წ. პირველი დეკემბრიდან გადიდდეს ხუთი წუთით.

2. დაუშვებლად ჩაითვალოს ტფილისის ზოგ სკოლაში (ორჯონიკიძის რაიონი, 26 კომ. სახ. რაიონი და სხვ.) მოსამზადებელი კლასების მეორე და მესამე წლებში გადაყვანა. დაევალოს ტფ. განათლ. განყოფილებას, ამხ. ქაცარავას პასუხისმგებლობით, ა.-წ. პირველი დეკემბრიდან მოსამზადებელი კლასების პირველ წლებში გადმოყვანა.

განათლ. სახ. კომისარი
თათარიშვილი.

—○—

გასწორება

„კომუნისტის" 23 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ წერილში სათაურით: „უსიამოვნებანი ტფ. სახ. უნივერსიტეტში" დაშვებულია შეცდომა: წერია—ზემოთ აღნიშნული ფაქტები ნათლად მოწმობენ ტფილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გადაგვარებას. უნდა იყოს: სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ზოგიერთი პირის გადაგვარებას.

—○—

პარტკალენდარი

— სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლი აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტს, რომ 25 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პარტგანათლების სახლში შესდგება პროპაგანდისტთა მორიგი სემინარი. რაიონის ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა. ამასთანავე ცხადდება პროპაგანდისტების საყურადღებოდ, რომ პარტგანათლების სახლში ყოველდღე საღამოს 7-დან 9 საათამდე წარმოებს პროპაგანდისტებისა და პარტკოლების მსმენელებისათვის კონსულტაცია, ხოლო 5 დღიურის მე-2 და მე-5 დღეს საღამოს 7-დან 9 საათამდე წარმოებს კონსულტაცია კომკავშირულ სწავლებაზე.

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30) 26 ნოემბერს საღამოს 7 საათზე მოწვეულია კომკავშირული პოლიტქსელის პროპაგანდისტების ყველა ხელმძღვანელთა და კომკავშირის რაიკომების მდივანთა მოადგილეების მეთოდ-თათბირი პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან: ლენინის რაიკომიდან — ამხ. ბაღდასაროვი, მელაძე და კალაძე; სტალინის რაიკომიდან — ახვლედიანი, ცომაია, ბაქრაძე, სიხარულიძე და კვაჭაძე; ორჯონიკიძის რაიკომიდან—ამხ. ფოფხაძე, ბეგიზარიანი, ბადრიაშვილი, პოლიაკოვი, მელქაძე, გოზალოვი, იოსელიანი და პერტუხინი. „26"-ის სახ. რაიკომიდან —ამხ. მღებრიშვილი, ეპშტეინი, ქასაია, შუტირინა, გოგუა და ბაჯაძე.

ავაშენოთ „კომუნისტის" ესკადრილია!

კორების მოლიბდმშენის მუშა - მოსამსახურეებს და ინჟინერ - ტექნიკოსთა პერსონალს შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 3000 მანეთი.

კიკნაძე.
სულთანიშვილი.
აბდალაძე.

★

ქ. მახარაძე, „ლენინის დროშის" რედაქცია „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შეაგროვა და გადმორიცხა 1014 მანეთი.

გაზ. „ლენინის დროშის" პ.-მგ. რედაქტორი **ა. კირსალია.**

★

აბაშა, გაზ. „საბჭოთა სოფლის" რედაქციის ინიციატივით ჩამოყალიბებულ ესკადრილიის მშენებლობის დამხმარე სარაიონო კომისიის მიერ შეგროვილი თანხიდან გადმოვრიცხეთ 2000 მანეთი, შეგროვებას ვაგრძელებთ.

გაზ. „საბჭოთა სოფლის" რედაქტორის მოადგილე **ი. კაჭარავა.**

ამხ. ბ. ცაგურიას გამოწვევით შემომაქვს 100 მანეთი და ვიწვევ: ა. კვირკველიას, პ. ოზორიას, ს. ალიხაზავას, შ. ბაბილუას, გ. კვირკველიას, პ. ჯალაღანიას, ლ. ბეზიას, ა. ბერიას, ვ. თოფურიას, გ. ქვარცხავას, ლ. ჯალაღანიას, ტ. სიქინავას და წალენჯიხის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ხობის პროფსაბჭოს რწმუნებულებს.

საქ. პროფსაბჭოს რაირწმუნებული **დ. კეზურია.**

★

„კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში ლენინიანის ბინათკავშირის შემოაქვს 100 მან. ხოლო ამავე დაწესებულების თანამშრომლებს 165 მანეთი და იწვევენ: ორჯონიკიძის, სტალინის, 26 კომუნარების სახ. რაიონების რაიბინათკავშირებს და საქართველოს ბინათკავშირის თანამშრომლებს.

კრების დავალებით **ა. ჭიპაშვილი.**

შემომაქვს 20 მანეთი და ვიწვევ საქ. ბინათკავშირიდან: საბა ორჯონიკიძეს, ზითაძეს, დობორჯგინიძეს, მანჯგალაძეს, ვართანოვს, ებანოიძეს და ტფილისის ყველა რაიბინათკავშირების თავმჯდომარეებს.

გ. ნიჟარაძე.

★

„კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ ჩემს პატარა ამხანაგებს: გულიკო და თენგიზ გარდაფხაძეებს (ქუთაისი), ლამარიკო მეხიძეს (ტფილისი) და აქსენტი ზვანიას (ზესტაფონი).

ნანული ზვანბაია.

„კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში ფული შეტანილ უნდა იქნას სახელმწიფო ბანკში ესკადრილიის ანგარიშზე № 160412 წარწერით: „ესკადრილიისათვის", ანდა „კომუნისტის" გამომცემლობის კანტორაში (ტფილისი, რუსთ. პროსპექტი № 34).

24 ნოემბრისათვის „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემოსულია სულ 6.470 მან. და 36 კ.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს მე-15 აბონ. 3 წარ.	25 ნოემბერს მე-12 აბონ. 3 წარ.	26 ნოემბერს 2 აბონ. 3 წარ.
აიდა	ტრავიატა	პიკის ქალი

ის აბონენტები, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-5 სააბონემენტო შესატანი, კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება.
ბილეთების გაყიდვა და ფულის მიღება წარმოებს ყოველ დღე, დღისით 11-დან 2 საათამდე, საღ. 6-დან. 9 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კონცერტების 9 საათზე.

რუსთაველის თეატრი სახელმწ. აკად. სანიმ. ახმეტელის ხელმძღვანელ.

დღეს მე-7 აბ. 2 წარ.	26 ნოემბერს მე-9 აბ. 2 წარ.	27 ნოემბერს ე-12 აბ. 2 წარ.
ნაბიჭვარი	ნაბიჭვარი	ინტერვენცია

20 ნოემბრიდან 25-მდე გაიცემა დეკემბრის თვის ტალონები (ბილეთები) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადების მიხედვით. ვისაც არ ექნება გადახდილი კუთვნილი თანხა ტალონებს ვერ მიიღებს გადაუხდელობის შემთხვევაში მიღებული იქნება ზომები.
მესამე გადასახადი სავალდებულოა.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

24 ნოემბ. აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 22 მზის დაბნელება
26 ნოემბ. აბონ. № 4 მე-2 წარმ.	წარმოდგენა № 23 ნინოშვილის გურია
27 ნოემბ. აბონ. № 1 მე-2 წარმ.	წარმოდგენა № 24 ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ

აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეორე გადასახადი 1-ლ წარმოდგენაზე დაშვებული არ იქნებიან.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30.	დადგმის მესამე კვირა „უკანასკნელი მასკარადი" ავტორი-რეჟისორი მ. ჭიაურელი.
დამკვრელი 6-30, 8, 9 30, 11	ახალი მხატვრული სურათი პიშკა გიუ-დე-მოპასანის მოთხრ. მიხედვით
ტემპი 6-30, 8, 9-30, 11.	ახალი ეკზემპლიარი „ადათის გავლენის ქვეშ"
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30.	• უკანასკნ. დღეები „ნახვამდის" დღით 12 საათიდან [illegible]
„26"-ის კომისარ. სახ. 1, 8-30, 10.	კომედია „ნახვამდის" დღით საბავშვო სურ. „[illegible]"

იწერეთ და გაავრცელეთ გაზ. „კომუნისტი"

მისამართები: რედაქცია, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობა, რუსთაველის პროსპ. № 34 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26. რედაქტორის მოადგილის 3—63—03. პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88. მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, ხ-ამბის 3—27—04. გამომცემლობის — 3-51-81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კ-უნ-სტი", კამოს ქ. № 58
მთავლიტის რწმუნებული 9374